



MES 2 20 0000648539



30/07/2020

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 25 და 27 ივლისს**. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა, საბჭოს სხდომას ჩაერთოს ონლაინ.

Topic: **vet.authorization**

Joining Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/85014312157>

Zoom Meeting ID: 850 1431 2157

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო)
) წევრები:**

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის - "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" კონსულტანტი (საბჭოს თავმჯდომარე);

გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ - პმს კვლევითი ცენტრის კვლევითი დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)

მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ (საბჭოს მდივანი);

ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ნინო ხითარიშვილი - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის კოორდინატორი;

ლონდამინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტთა კორპუსის მართვის კოორდინატორი;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

საგანმანათლებლოდაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

კოლეჯის დირექტორი - თეიმურაზ ასათიანი

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი - ელისაბედ ებრალიძე

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

კოლეჯის დირექტორი - მანანა მოისწრაფიშვილი

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი - შოთა მარგიშვილი

კოლეჯის სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი - ირმა არსენაშვილი

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

კოლეჯის დირექტორი - ნოდარ ხარაზიშვილი

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი - თამარ გიორგობიანი

კოლეჯის იურისტი - მაია ოშიაძე

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ირაკლი კორძაია

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი - მადონა მიქელაძე

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი - მამუკა გოგელია

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ირმა გრძელიძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი - კახაბერ ჭეიშვილი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე - ლევან წიქარიძე

ექსპერტები:

თამთა კვინიკაძე

თეა მაისურაძე

ნინო ბალანჩივაძე

ირმა არსენიშვილი

ვანო ოთხოზორია

ტიტე ბოლქვაძე
ციური დურული
ალექსანდრე კეკელიძე
მარინა გოგოლაძე
თეა ბარამაშვილი
ნაზო წიბლიაშვილი
გიორგი დათუკიშვილი
მარინა გოგოლაძე
ნინო ხაჩიძე
თამარ ზარანდია
ციცინო თურქაძე
გიორგი ხაბეიშვილი
ირინე ფხაკაძე
თამთა კვინიკაძე
ინგა ბოჭოიძე
ქეთევან ღვანიძე
თამარ ვალიშვილი
გიული გურგენიძე
ია მოსაშვილი

საბჭოს სხდომა 25 ივლისს დაიწყო 11:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და კოლეჯების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მოსამზადებლად სხდომის აუდიო ჩანაწერი მზადდებოდა და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. ფოტო-ვიდეო გადაღება აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „კულინარიის ხელოვნების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „ვეტერინარიის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
3. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

4. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

5. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

6. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

7. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

8. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

9. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „მებაღეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

10. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სატყეო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

11. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ლონისძიების ორგანიზების“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

12. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

13. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ლონისძიების ორგანიზების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

14. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ მათ მიერ 25 ივლისის დღის წესრიგით განსახილველ საკითხთა ჩამონათვალს უნდა დამატებოდა 24 ივლისის საბჭოს სხდომიდან გადმოტანილი ხუთი საკითხი.

საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს განახლებულ დღის წესრიგს და თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო შემდეგი სახით დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „კულინარიის ხელოვნების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

2. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „ვეტერინარიის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

4. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

5. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

6. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

7. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

8. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

9. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ბუღალტრული აღრიცხვის“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

10. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

11. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

12. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საფინანსო სერვისების“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

13. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №42 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

14. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „მებაღეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

15. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სატყეო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

16. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ლონისძიების ორგანიზების“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

17. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

18. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ლონისძიების ორგანიზების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

19. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

1. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „კულინარიის ხელოვნების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: თამთა კვინიკაძე და თეა მაისურაძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, თამთა კვინიკაძის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში განხორციელდა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. დაწესებულება გეგმავს პროგრამის განხორციელებას დუალური მიდგომით. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, განმახორციელებლებს და პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლებს, რომლებმაც ნამდვილად გამოთქვეს მზაობა დაწესებულებასთან ერთად განახორციელონ აღნიშნული პროგრამა. დაწესებულებას განაცხადი წარმოდგენილი აქვს 15 პროფესიულ სტუდენტზე. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობას და ადასტურებს, რომ როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების ისე თანაგანმახორციელებელ კომპანიის რესურსებით სრულიად შესაძლებელია 15 პროფესიული სტუდენტის მიღება. დისტანციური წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა ვიდეო თვალის საშუალებით დაათვალიერეს პროგრამისთვის განკუთვნილი სასწავლო გარემოები: „A“, „B“ და „C“ გარემოები პროგრამის იმ ნაწილისთვის, რაც დაწესებულებაში განხორციელდება.

დაწესებულების თვითშეფასებაში დაფიქსირებული იყო „მეტწილი შესაბამისობა“ და, ასევე, განაცხადს თან ერთვოდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფი

დაეთანხმა დაწესებულების თვითშეფასებას 2.1 კომპონენტში და ადასტურებს რომ არის „სრული შესაბამისობა“. წარმოების ფარგლებში ექსპერტებს ჰქონდათ ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ გაითვალისწინა და ამის მტკიცებულება წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას. ამიტომ აღნიშნული რეკომენდაციები ექსპერტებმა აღარ ასახეს დასკვნაში. გარდა ამისა, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროისთვის ნაწილი რეკომენდაციები უკვე გაითვალისწინა, ხოლო ნაწილზე წარმოადგინა ხელახლა დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

2.2 კომპონენტის „მეტწილად შესაბამისად“ შეფასების მიზეზად ექსპერტმა დაასახელა განმახორციელებელ პირებთან დაკავშირებით არსებული შეუსაბამოებები. ზოგი განმახორციელებელი პირის პირადი საქმე არ იყო მოწესრიგებული. ასევე, პირადი საქმეებით არ დასტურდებოდა მათი გამოცდილება და ასე შემდეგ. თუმცა გასაუბრების შედეგად კითხვის ნიშანი არ ჩნდებოდა განმახორციელებლების კომპეტენციასთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ განმახორციელებლები არიან მოქმედი პრაქტიკოსები და აქვთ დიდი გამოცდილება. ნაწილს უკვე აქვს სწავლების გამოცდილებაც. გადა ამისა, დაწესებულება გეგმავს ინსტრუქტორების გადამზადებას სწავლებისა და შეფასების საკითხებში.

ნანა ყუფუნია დაინტერესდა, რა დოკუმენტები აკლდა პირად საქმეებს, მაგალითად, ხომ არ აკლდა CV. რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა რომ CV იდო პირად საქმეებში, თუმცა ზოგიერთი მათგანის პირად საქმეში არ იმეზნებოდა მათი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ნანა ყუფუნიას განცხადებით თუ CV იყო, წესით მასში უნდა გამოჩენილიყო პირის გამოცდილება. საბჭოს თავმჯდომარისთვის ბუნდოვანი რჩებოდა საკითხი, რა იყო ექსპერტებისთვის საფუძველი, როცა ამბობენ, რომ არ იკვეთება განმახორციელებლის კვალიფიკაცია დოკუმენტურად, ეს გამოცდილება არ ჩანდა, არ იკითხებოდა CV-დან თუ კიდევ დამატებით ითხოვდა ექსპერტთა ჯგუფი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.

მარიამ ჩაგელიშვილმა შეაჯამა და აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულია, რომ „დაწესებულებას ჰყავს კვალიფიციური პერსონალი, თუმცა ზოგიერთი მოდულის განმახორციელებელთა მხრიდან ვერ მოხერხდა შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების დადასტურების კომპეტენციის ფლობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. დაწესებულებას აღნიშნული უკვე გათვალისწინებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში და ამიტომაც შეიფასა თავი „მეტწილ შესაბამისობაში“. იყო რიგი შემთხვევები, სადაც ნათლად არ გამოჩნდა, რომ განმახორციელებელ პერსონალს ჰქონდა სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების უნარი, სხვაგვარად რომ ითქვას, ბუნდოვანი იყო. ექსპერტებს ექვი კი არ შეეპარათ, რომ განმახორციელებლებს შესაბამისი უნარები ჰქონდათ, პირიქით, ეს დასტურდებოდა გასაუბრებით, თუმცა დოკუმენტურად ამის დადასტურება ვერ მოხერხდა. დაწესებულებას თავის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ასახული ჰქონდა, რომ ამ პრობლემას მოაგვარებდა, განმახორციელებელთა მხრიდან დოკუმენტაცია სრულად იქნებოდა წარმოდგენილი 25 ივნისიდან 30 ივლისამდე პერიოდში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფიც დაეთანხმა შეფასებას და მონიშნა მეტწილი შესაბამისობა 2.2 კომპონენტში. მარიამ ჩაგელიშვილი დაინტერესდა, როგორ დამღია კოლეჯმა ეს პრობლემა და რამდენად აღმოფხვრილია პრობლემა ამ ეტაპისთვის.

დაწესებულებას 2.4 კომპონენტში საკუთარი თავი შეფასებული ჰქონდა „სრულ შესაბამისობაში“, თუმცა პროფესიული სტუდენტების შეფასების ნაწილში გარკვეული საკითხები იყო დასახვეწი, მაგალითად სტუდენტთა ინფორმირების საკითხები არ იყო სრულად ასახული. ვერიფიკაციის დოკუმენტს, რომელიც ახალი შემუშავებული ჰქონდა დაწესებულებას, სჭირდება დახვეწა. აღნიშნული ექსპერტებმა გაიარეს დაწესებულების

წარმომადგენლებთან, შეაჯერეს პოზიციები და დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ასახა შესაბამისი რეგულაციების გადახედვის და სრულყოფის აქტივობები.

საკითხების განხილვის შემდგომ სიტყვა მიეცა დაწესებულების წარმომადგენლებს. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ უკვე გაითვალისწინეს რეკომენდაციები, შეიმუშავეს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის ფორმა. ერთ-ერთი რეკომენდაცია შეეხებოდა პროფესიული სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოქვეყნების საკითხს, რომელიც უკვე დარეგულირდა და გაიწერა შიდა მარეგულირებელში. კერძოდ, ჩამოყალიბდა შემდეგი სახით - პროფესიული განათლების მასწავლებელი გააცნობს პროფესიულ სტუდენტებს ინდივიდუალურად შედეგებს. ასევე, პირად საქმეში უკვე დაემატა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. რადგან CV-ში ცალსახად არ ჩანდა კვალიფიკაცია, პირად საქმეში დაემატა ცნობა და დიპლომი. სამოქმედო გეგმაში არსებული ტექნიკური ხარვეზიც უკვე გასწორდა. 2.3 კომპონენტთან დაკავშირებით - იყო ტექნიკური ხარვეზი, „მოდულის“ ნაცვლად მითითებული იყო „კურსი“ და ეს გასწორდა. მეორე საკითხი ეხებოდა კვლევებს, მექანიზმში არ იყო გათვალისწინებული დამსაქმებლების კვლევა. დაწესებულებას ამ დრომდე არ ჰქონდა დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა ჩატარებული, რასაც სამომავლოდ გეგმავს. ასევე, იგეგმება არსებული კითხვარების გადახედვა და დახვეწა.

საბჭომ სათათბირო დრო გამოიყენა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ზეპირ მოსმენაზე ექსპერტთა და დაწესებულების მხრიდან დაფიქსირებულ მსჯელობასა და არგუმენტებზე დაყრდნობით, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციები უფრო მეტად ტექნიკური ხასიათის უზუსტობების აღმოფხვრას ემსახურებოდა, რომლებიც უკვე გამოსწორა დაწესებულებამ, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ 2.2 და 2.3 კომპონენტების ნაწილში, შეფასება „მეტწილი შესაბამისობიდან“ გადაკვალიფიცირდეს/შეიცვალოს „სრულ შესაბამისობად“, ექსპერტთა რეკომენდაციები, შეიძლება ჩავთვალოთ პროცესის კიდევ უფრო დაკონკრეტების, გაუმჯობესების, შესაბამისად, განვითარების რეკომენდაციებად.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დუალური მიდგომით დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ-ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს (ს/კ: 236098851) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული “კულინარიის ხელოვნების” საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 25 ივლისი.

საბჭოს წევრებმა ექსპერტების მიმართ გააჟღერეს რეკომენდაცია, რომ სამომავლოდ დაწესებულების მიმართ შესაბამისობის რეკომენდაციების გაცემის დროს უფრო მნიშვნელოვან და გლობალურ საკითხებზე იყვნენ ორიენტირებული. გასათვალისწინებელია, რომ შესაბამისობის რეკომენდაცია საბოლოო ჯამში საფუძველი ხდება მონიტორინგის, ანუ ექსპერტი აფიქსირებს, რომ ამა თუ იმ კომპონენტში არ არის შესაბამისობა და შემდგომ ამის გამოსწორების გადმოწმების მიზნით უნდა დაინიშნოს მონიტორინგი, ამიტომ უფრო ფრთხილად უნდა მოეკიდონ ამ ტიპის რეკომენდაციების გაცემას.

2. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „ვეტერინარიის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ნინო ბალანჩივაძე და ირმა არსენაშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტთა მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნინო ბალანჩივაძის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №493231 ბრძანების შესაბამისად, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში განხორციელდა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება „ვეტერინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი შესაბამისი დანართებით, რომლის შედეგების მიხედვით დამატებით გამოითხოვა გარკვეული დოკუმენტაცია. დოკუმენტების შესწავლის შემდეგ შედგა ონლაინ ჩართვა, სადაც გაესაუბრნენ დაწესებულების და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს. დაწესებულება გეგმავს პროგრამის განხორციელებას დუალური მიდგომით. ხარვეზი არ დაფიქსირებულა, ექსპერტთა მხრიდან გაიცა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, კერძოდ:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

- ლებელია გაიწეროს სასწავლო ცხრილი, რომელშიც მითითებული იქნება პარტნიორი ორგანიზაციების პრაქტიკული ობიექტების დატვირთვა;

- ზოგიერთ პრაქტიკის ობიექტზე არ არის მოწყობილი მოდულების თეორიული ნაწილის გასახორციელებლად საჭირო გარემო, თუმცა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე აუცილებლად მოეწყობოდა მოდულის თეორიული ნაწილის გასახორციელებლად საჭირო გარემო. კოლეჯის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ პატრნიორი ორგანიზაციები ჩართული არიან ამ საკითხის მოგვარებაში და აღნიშნულის შესრულების მონიტორინგს კოლეჯი განახორციელებს სწავლის დაწყებამდე „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“ დადგენილი ვადების შესაბამისად, რის გამოც დაწესებულება თავის საქმიანობას აღნიშნულ კომპონენტან მიმართებაში აფასებს მეტწილად, რასაც ექსპერტთა ჯგუფიც იზიარებს. დაწყების სავარაუდო თარიღად განსაზღვრულია 06.07.2020, ხოლო დასრულების თარიღად - 30.09.2020;
- პროგრამას ჰყავს ახალი ხელმძღვანელი, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაინიშნა, მართალია დარგის კვალიფიციური სპეციალისტია, მაგრამ არ იცნობდა პროგრამას და არც მოდულური//დუალური სწავლების გამოცდილება აქვს. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, ახლად შერჩეულ პროგრამის ხელმძღვანელს მოდულური//დუალური სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს ტრენინგები. კოლეჯის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობით გაირკვა, რომ კოლეჯმა პროგრამის ახალ ხელმძღვანელს საწყის ეტაპზე გააცნო პროგრამა და მოდულები. შემდეგ ეტაპზე კი „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“ გაწერილი აქტივობის მიხედვით ჩაერთვება სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ განხორციელებულ ტრენინგ-პროგრამაში: „დუალური პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია. ამასთანავე, „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“ გათვალისწინებულია აქტივობა - "პერსონალის გაძლიერებაზე ზრუნვა და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება" - ამის უზრუნველსაყოფად კოლეჯს ასევე შემუშავებული აქვს გეგმა, რომელიც სექტემბრის თვეში გულისხმობს პროფესიული მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარებას შიდა რესურსის გამოყენებით სწავლების პროცესში საჭირო სხვადასხვა საკითხების ფარგლებში.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ პროგრამის თეორიული ნაწილის პატრნიორ ორგანიზაციაში განხორციელება, როცა თავად დაწესებულებას აქვს სათანადო რესურსი და შესაძლებლობა. კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ეხება ისეთ მოდულებს, რომლებშიც მხოლოდ პირველი სწავლის შედეგი არის თეორიული და ყველა დანარჩენი პრაქტიკული. ისეთი მოდულები, რომლებიც მთლიანად თეორიულია, ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე. თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილების ერთ-ერთი წინაპირობა ასევე იყო ისიც, რომ დაეცვათ დუალური სწავლების პრინციპი და სწავლის შედეგების 50% განხორციელებულიყო საწარმოში.

მარიამ ჩაგელიშვილის დამაზუსტებელ კითხვაზე, თუ სწავლის შედეგების კონკრეტულად რამდენი პროცენტი არის გატანილი პატრნიორ ორგანიზაციაში, ნინო ბალანჩივაძემ აღნიშნა, რომ ნათლად არ იკვეთებოდა, რომელი სწავლის შედეგი რომელ პატრნიორთან გადიოდა (დაწესებულებას რამდენიმე პატრნიორი ორგანიზაცია ჰყავს). ექსპერტებმა დაათვალიერეს კლინიკები ვირტუალურად. კლინიკების ფართიდან გამომდინარე, ერთ შესვლაზე მხოლოდ 4 სტუდენტი თუ შევა, მეტი არა. რამდენად მოხერხდება 15 სტუდენტის იმ ორ კლინიკაში სწავლება და რომელი სწავლის შედეგი რომელ ობიექტზე გადის, ეს ვერ ნახეს ექსპერტებმა და ამას ეფუძნება რეკომენდაცია. კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო გეგმაში

მითითებულია სწავლის შედეგების მიხედვით, რომელი სწავლის შედეგი სად ხორციელდება კოლეჯში თუ პარტნიორ საწარმოში, თუმცა არ არის დაკონკრეტებული უშუალოდ სასწავლო გეგმაში საწარმოების სახელები. მოდულებშიც განხორციელების ადგილში მითითებულია პარტნიორი ორგანიზაცია, თუმცა თითოეული სწავლის შედეგის შესაბამისად პარტნიორი ორგანიზაციის სახელდებითი მითითება ნამდვილად არ არის გაკეთებული, რადგან ამის მოთხოვნა ან პრაქტიკა აქამდე არ ყოფილა. რაც შეეხება სტუდენტთა რაოდენობას - კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციებიდან ორი ფერმა და ხორცის კომპანია საკმაოდ დიდ ფართობზეა და მათ დაადასტურეს, რომ 15 სტუდენტს მიიღებენ. გარდა ამისა, სწორედ იმიტომ, რომ თითოეულ კლინიკაში 15 სტუდენტი ვერ მოთავსდება ერთდროულად და კლინიკებსაც აქვთ მზაობა ორ ჯგუფად მიიღონ 7-8 პროფესიული სტუდენტი, რაც გასაუბრებისასაც დაადასტურეს, დაწესებულებას ჰყავს ორი პარტნიორი კლინიკა, რომლებიც შეძლებენ ერთი და იგივე მოდულების განხორციელებას ორ ცვლაში.

მარიამ ჩაგელიშვილი დაინტერესდა, როგორ მოახდენს დაწესებულება პარტნიორ ორგანიზაციაში გატანილი სწავლის შედეგების მიღწევის ნამდვილობის დადასტურებას, მაგალითად, თუ არსებობს ჩანაწერების ჟურნალი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კოლეჯს აქვს შემუშავებული ჟურნალი/დღიური სტუდენტებისთვის და დაწესებულებისთვის. გარდა ამისა, კოლეჯს ჰყავს საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, რომელიც პერიოდულად ახორციელებს ვიზიტებს პარტნიორ ორგანიზაციებში და აკვირდება სასწავლო პროცესს. ასევე პროგრამის ხელმძღვანელის ერთ-ერთ ფუნქცია-მოვალეობად მოაზრება, რომ ამასაც გაუწევს ზედამხედველობას და სტუდენტებთან გასაუბრებით ან მასწავლებლებთან გასაუბრებით დაადგენს საჭიროებებს. დაწესებულებას გააზრებულია აქვს ამ პროცესის მონიტორინგის მნიშვნელობა, რადგან უშუალოდ კოლეჯში არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და უშუალო შეხება არ აქვთ.

2.3 კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტმა ისაუბრა, რომ როგორც ინტერვიუებით დადგინდა, კოლეჯი ცდილობს პროგრამების განხორციელებისათვის შექმნას საჭირო სასწავლო და სამუშაო გარემო, ცდილობს სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებასა და სახელმწიფო სტანდარტებთან, ისევე, როგორც შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათ დაახლოებას. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, კოლეჯში განსაზღვრულია პროგრამის შემუშავებისა და გადახედვის წესები. ამასთანავე, კოლეჯში მუშავდება სხვადასხვა კითხვარი როგორც კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევისა, ისე კურსების შეფასების კითხვარი სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის, ასევე შიდა მხარდაჭერის ჯგუფის დასწრებისა და დამსაქმებელთა კითხვარები.

უნდა აღიშნოს, რომ კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი. შექმნილია შიდა მხარდაჭერისა და ვერიფიკაციის ჯგუფები.

დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების გაუმჯობესება, რის გამოც დაწესებულება თავის საქმიანობას აღნიშნულ კომპონენტან მიმართებაში აფასებს მეტწილად, რასაც ექსპერტთა ჯგუფიც იზიარებს. დაწყების სავარაუდო თარიღად განსაზღვრულია 01.07.2020, ხოლო დასრულების თარიღად - 15.11.2020.

2.4 კომპონენტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შეფასების ინსტრუმენტები წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის განმსაზღვრელი შეფასების მიცემის საშუალებას, რომლითაც დასტურდება, მიაღწია თუ არა პროფეიულმა სტუდენტმა სწავლის შედეგს. შეფასების

ინსტრუმენტების საფუძველზე იქმნება სასწავლო უწყისები, რომელთა საფუძველზეც მიმდინარეობს მსჯელობა პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებით.

პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენისას იყენებს კონკრეტულ მოდულს. თითოეული შეფასების ინსტრუმენტი იქმნება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით, რაც დასტურდება შესაბამისი ხელმოწერით. ხოლო ვერიფიკატორს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი და ვერიფიკაციის ჯგუფი.

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუებისას აღინიშნა რომ დაწესებულების შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებას და შექმნილია შიდა მხარდაჭერისა და ვერიფიკაციის ჯგუფები, მაგრამ არ განხორციელებულა ვერიფიკაცია, თუმცა დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ინდენტიფიცირებული აქვს მეტწილი შესაბამისობა და მისი უზრუნველყოფის აქტივობად გაწერილი აქვს „საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა და ვერიფიკაციის შემუშავებული მექანიზმის დანერგვა კოლეჯში“, დაწყების სავარაუდო თარიღად განსაზღვრულია 01.07.2020, ხოლო დასრულების თარიღად - 15.11.2020.

აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება საგანმანათლებლო დაწესებულებას და ადასტურებს რომ 2.4 კომპონენტის შეფასებაა „მეტწილი შესაბამისობა“

ნანა ყუფუნიას დამაზუსტებელ კითხვაზე, 2.3 კომპონენტი რატომ შეაფასა ექსპერტმა „მეტწილად შესაბამისად“, ნინო ბალანჩივამ განმარტა, რომ რადგან თავად დაწესებულება თვლის, რომ „მეტწილ შესაბამისობაშია“ 2.3 კომპონენტთან და ხედავს აქ გაუმჯობესების საჭიროებას, მათთან ინტერვიუს საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფიც დაეთანხმა ამ შეფასებას. ექსპერტებმა ნახეს მექანიზმი შეფასებისა და განვითარების, რომელიც სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო. რეალურად ექსპერტები არ თვლიან, რომ რაიმე ხარვეზია 2.3 კომპონენტთან მიმართებით, არც რეკომენდაციები გაუციათ, უბრალოდ დაეთანხმნენ დაწესებულების თვითშეფასებას. თუმცა ზეპირ მოსმენაზე ნინო ბალანჩივამ დააფიქსირა, რომ უკეთესი იქნებოდა უფრო დეტალურად იყოს გაწერილი ვადები და პროცედურები. 2.4 კომპონენტთან დაკავშირებით შემდგომი დაზუსტების მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ისევე, როგორც 2.3 კომპონენტთან მიმართებით, აქაც უბრალოდ დაეთანხმნენ დაწესებულების თვითშეფასებას.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა განაცხადა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ ჯერ დაწესებულებას არ განუხორციელებია ვერიფიკაციის პროცესი, ამის გამო მონიშნეს თვითშეფასებაში „მეტწილი შესაბამისობა“. თუმცა თვითონ მექანიზმებში შეეცადნენ, რომ უფრო ნათლად გაეწერათ პროცედურები. რაც შეეხება პარტნიორ ორგანიზაციებს, კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ მათგან ამ ეტაპზე არის მზაობა გამოხატული როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე შესაბამისი ხელშეკრულებით დადასტურებული, რომ მიიღებენ 15 პროფესიულ სტუდენტს. პროგრამის ხელმძღვანელების გადამზადებას გეგმავს კოლეჯი, და არა მარტო „ვეტერინარიის“ პროგრამის ფარგლებში, იქიდან გამომდინარე რომ პროგრამის ხელმძღვანელის თემაც ახალია ჯერჯერობით. კოლეჯს ახალი შექმნილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ მოთხოვნები, უფლება-მოვალეობები, რაც, რა თქმა უნდა, გაეცნოთ მათ, თუმცა, პროცესების უკეთ წარმართვისათვის თუ უშუალოდ პრაქტიკულად როგორ განახორციელონ მათზე დაკისრებული საქმიანობა, ამაზე დამატებით ჩაუტარდებათ ტრენინგები.

საბჭომ სათათბირო დრო გამოიყენა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ 2.2 და 2.3 კომპონენტების ნაწილში, შეფასება „მეტწილი შესაბამისობიდან“ გადაკვალიფიცირდეს/შეიცვალოს „სრულ შესაბამისობად“, იქიდან გამომდინარე, რომ ამ ეტაპზე რომც ჩაინიშნოს მონიტორინგი, შეუძლებელია გადამოწმდეს, როგორ გაართმევენ თავს პროგრამის ხელმძღვანელობას პირები, რომელთაც ჯერ არც ტრენინგი გაუვლიათ და არც შესაბამისი გამოცდილება აქვთ. აქედან გამომდინარე, საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მსგავსი საკითხი/რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებით თუ იქნება, არა მარტო ამ კოლეჯის, არამედ ნებისმიერი სხვა დაწესებულების შემთხვევაში, სწორი იქნება გადამოწმდეს ერთი წლის შემდეგ გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. რაც შეეხება ხელმძღვანელის კვალიფიკაციას, საბჭოს მის კვალიფიკაციაში ეჭვი არ შეაქვს, იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტები თავად ადასტურებენ, რომ კვალიფიციური კადრები ნამდვილად ჰყავს დაწესებულებას. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებითაც მიზანშეწონილად მიიჩნევს საბჭო შეფასება „მეტწილი შესაბამისობიდან“ გადაკვალიფიცირდეს/შეიცვალოს „სრულ შესაბამისობად“, ვინაიდან კოლეჯს მექანიზმი წარმოდგენილი აქვს, იაზრებს და გამოხატავს მზაობას სრულყოფისთვის შემდგომი ნაბიჯების გადადგმის. 2.3 კომპონენტში რიგი საკითხები უმჯობესია გადამოწმდეს პროცესში, რაც უფრო სრულ სურათს წარმოაჩენს, ვიდრე მხოლოდ მექანიზმების შემოწმება. აქედან გამომდინარე, საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია 2021 წლის გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, ზოგადად, ავტორიზებულ დაწესებულებებში იქნეს შესწავლილი 2.3 კომპონენტი. საბჭო ძალაში ტოვებს 2.4 კომპონენტის შეფასებას როგორც „მეტწილი შესაბამისობა“ და გასცემს რეკომენდაციას, აღნიშნულიც გადამოწმდეს გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. გეგმიური მონიტორინგი არ მოითხოვს დამატებით ხარჯებს დაწესებულებების მხრიდან და ამ ტიპის საკითხების გადასამოწმებლად საბჭოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ ეტაპზე რესურსის ხარჯვა, იქიდან გამომდინარე, რომ უახლოეს ერთ და ორ თვეში, მაინც ვერ გამოიკვეთება სრული სურათი. დანარჩენი, უფრო ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები, უკვე გათვალისწინებულია აქვს კოლეჯს, როგორც ეს იკვეთება არგუმენტირებული პოზიციიდან და ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი დასაბუთებიდან.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „ვეტერინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დუალური მიდგომით დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთმეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს (ს/კ: 236098851) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ვეტერინარიის“ საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 2).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 25 ივლისი.

3. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ვანო ოთხოზორია და ტიტე ბოლქვაძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტთა მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №458745 ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა - ა(ა)იპ-სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით, ამ პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი აქტები და გადამოწმდა დაწესებულების მიერ მათი შესრულების დაცულობა, რისთვისაც განხორციელდა გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსები, განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა დაწესებულების საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს ინდივიდუალურ მიდგომებს პროფესიულ სტუდენტებთან მიმართებაში; სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია შესაძლო დასაქმების პოზიციაზე სამუშაო გრაფიკთან სასწავლო ცხრილების მორგება; მოდულის დასრულებისას განმახორციელებლები სასწავლო პროცესის მენეჯერს მტკიცებულებებთან ერთად წარუდგენენ პროფესიული სტუდენტების

დახასიათებას პერსონალური მონაცემების დაცვით. აღნიშნული დახასიათებები პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ანალიზდება და საჭიროების შემთხვევაში ხდება პროფესიულ სტუდენტთან ინდივიდუალური გასაუბრება მისი მიღწევების გაუმჯობესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელი თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე ადგენს საერთო დახასიათებას და წარუდგენს ინსტრუქტორს. აღნიშნულის მიზანია როგორც პროფესიული სტუდენტის განვითარება, ასევე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მისი უსაფრთხოებისადმი ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველყოფა პრაქტიკის ობიექტზე.

დაწესებულებას უკვე გათვალისწინებული აქვს წინა ვიზიტის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არ გამოვლენილა ხარვეზები და არც რეკომენდაციები გაცემულა. დაწესებულება ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში შეფასდა „სრულ შესაბამისობაში“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას და ადასტურებს, რომ, ერთი მხრივ, სათანადო გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების და, მეორე მხრივ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით დაწესებულება თავისუფლად შეძლებს გაზრდილი კვოტის ფარგლებში მიიღოს სტუდენტები და სასწავლო პროცესი წარმართოს ეფექტურად. დაწესებულებას ჰყავს დარგის პრაქტიკოსი პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთაც აქვთ მოდულების სწავლების გამოცდილება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი და აღნიშნული დასტურდება ხელშეკრულებით. სასწავლო გარემო არის სრულყოფილად აღჭურვილი. პრაქტიკის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს რკინიგზა, რომელიც მზაობას გამოთქვას მიიღოს 50 პროფესიული სტუდენტი. უფრო მეტიც, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ზრდა ეფუძნება მათ მოთხოვნას, რეალური საჭიროებიდან გამომდინარე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომლებთანაც დისტანციურ გასაუბრებას კოლეჯის ადმინისტრაციამ გაუწია ორგანიზება. პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს საფუძველზე აღნიშნა, რომ მათი მოლოდინები სრულად გამართლდა სწავლის პრიოდში. დაწესებულება მათ სთავაზობთ მოქნილ მიდგომებს და სასწავლო პროცესში მათი ინტერესები ყოველთვის გათვალისწინებულია. ექსპერტმა, ტიტე ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება მუდმივად ვითარდება და რეკომენდაციის გაცემის საფუძველიც აღარ დამდგარა კოლეჯში.

კოლეჯის დირექტორმა ექსპერტებს გადაუხადა მადლობა გაწეული სამუშაოსთვის და დადებითი შეფასებებისთვის.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, გამოიყენებენ თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებლები სასწავლო რესურსად თანამედროვე მიდგომებს, კონკრეტულად კი იმ რეკომენდაციებს, რომლებიც მიმდინარე წელს იქნა მიღებული დარგში. აღნიშნულზე ტიტე ბოლქვაძემ განაცხადა, რომ თანამედროვე მიდგომების და რეკომენდაციების გამოყენების პრაქტიკის ნახვა რთულია ამ ეტაპზე, რადგან შეჩერებულია სწავლის პროცესი, მაგრამ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ ეს გაცნობიერებული და არიან მზად გამოიყენონ სწავლებაში.

ნინო კაკულია დაინტერესდა, რამ გამოიწვია კვოტის გაზრდა, რაზეც კოლეჯის დირექტორმა განმარტა - აღნიშნულ კოლეჯში იგეგმებოდა ერთ ცვლაში 800 პროფესიული სტუდენტის მიღება/გამტარობა, საჭიროებიდან გამომდინარე ორ ცვლაშიც შეიძლებოდა სწავლება. კოლეჯი

ორწელიწადნახევარია ფუნქციონირებს. მათ მიერ განხორციელებული პროგრამების უმრავლესობა ხორციელდება დუალური მიდგომით და შესაბამისად კოლეჯის ინფრასტრუქტურა არ იტვირთება ისე, როგორც მოდულური მიდგომით პროგრამების განხორციელების დროს. გარდა ამისა, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში უმთავრესი ამოსავალი არის ბაზრის მოთხოვნა, საქართველოს რკინიგზის მოთხოვნიდან გამომდინარე განისაზღვრება კვოტა. აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო დროს კოლეჯს მიმართავენ უკვე სხვა ორგანიზაციებიც კადრების მომზადების მოთხოვნით. ერთ-ერთი ბოლო არის, მაგალითად, მეტროპოლიტენი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად,

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ:402019917) დანართით განსაზღვრულ „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 50-ით (დანართი 3).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 25 ივლისი.

4. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

წარმდგენი: ვანო ოთხოზორია და ტიტე ბოლქვაძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტთა მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის

წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №458741 ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა - ა(ა)იპ-სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში, „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 ე- პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადების თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხის ფარგლებში მან უკვე ვრცლად ისაუბრა იგივე კოლეჯის გამოცდილებაზე, არსებულ პრაქტიკასა და წარმატებებზე, აღარ შეაწყენდა თავს საბჭოს იგივეს გამეორებით. დამატებით აღნიშნა, რომ წინა საკითხზე საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დაწესებულებას გაეზარდა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა 20-ით და დაწესებულება ამ 20 ადგილის გამოყენებას სწორედ გეგმავს ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წარმოების ფარგლებში უმნიშვნელოვანესი იყო მატერიალური რესურსის და სასწავლო გარემოს შემოწმება. რესურსები არის დაწესებულების მფლობელობაში და განთავსებულია პროგრამის განხორციელების ადგილზე. სასწავლო გარემო მოდულში არსებული მიდგომების მიხედვით არის მოწყობილი. ექსპერტები გაესაუბრნენ ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს და მათ კავლიფიკაციასთან კითხვის ნიშნები არ გაჩენილა.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არ გამოვლენილა ხარვეზები და არც რეკომენდაციები გაცემულა. დაწესებულება ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში შეფასდა „სრულ შესაბამისობაში“.

საბჭო დაინტერესდა, როგორია მოლოდინები ინტეგრირებულ პროგრამაზე და ზოგადად დაწესებულება რას აკეთებს ინტეგრირებული პროგრამების პოპულარიზაციისათვის სკოლაში, რაზეც კოლეჯის დირექტორმა განაცხადა, რომ მათ ოპტიმისტური მოლოდინები აქვთ. მათ უკვე აქვთ გამოცხადებული სხვა ინტეგრირებულ პროგრამაზე მიღება და საკმაოდ მაღალია მიმართვიანობა. გარდა ამისა, უკვე გამოკვეთილია დიდი მოლოდინი „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ პროგრამასთან დაკავშირებით, ბევრი ზარი შემოდის კოლეჯში და ელოდებიან ამ პროგრამის დამატებას. ასევე, საქართველოს რკინიგზაში საკმაოდ ბევრი ადამიანი არის დასაქმებული, რომელთაც აქვთ მხოლოდ საბაზო განათლება და რომელთაც სჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება, ოღონდ ამისთვის არ კმარა პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი პროგრამა, და სწორედ ამ ადამიანებისთვის არის ძალიან კარგი შანსი ინტეგრირებული პროგრამები.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად,

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ:402019917) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრულ „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 4).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 25 ივლისი.

5. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ციური დურული და ალექსანდრე კეკელიძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტთა მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 9 ივნისის №450018 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ-კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მიერ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზნით ამ პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა საგანმანათლებლო პროგრამა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ადამიანური რესურსის დოკუმენტაცია, პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ბიბლიოთეკის ფონდი, პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები, განახორციელა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, შედგა ვიზიტი პრაქტიკის ერთ-ერთ ობიექტზე - შპს „ევროპის უნივერსიტეტი“.

დაწესებულებას ვებგვერდზე განთავსებული აქვს ინკლუზიური განათლების გზამკვლევი და ინკლუზიური მიმართულებით ჩატარებული სამუშაოებისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ დაწვრილებითი ანგარიშები 2015 წლიდან 2019 წლის ჩათვლით, რაც ექსპერტთა ჯგუფმა საუკეთესო გამოცდილებად მიიჩნია.

დაწესებულებას უკვე გათვალისწინებული აქვს წინა ვიზიტის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა რეკომენდაციები. დაწესებულება ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში შეფასდა „სრულ შესაბამისობაში“. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას და ადასტურებს, რომ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებზე დაყრდნობით დაწესებულება თავისუფლად შეძლებს გაზრდილი კვოტის ფარგლებში მიიღოს სტუდენტები და სასწავლო პროცესი წარმართოს ეფექტურად. დაწესებულებას „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 2017 წელიდან. ამ პერიოდში კოლეჯმა გაზარდა დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა. ასევე დაიმატა პრაქტიკის ობიექტები.

კოლეჯის დირექტორმა გადაუხადა მადლობა ექსპერტებს შეფასებებისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება მუდმივად ვითარდება და ცდილობს გააუმჯობესოს პროგრამების განხორციელების პირობები.

შორენა ჯაფარიძის მოსაზრებით IT მიმართულების პროგრამები ძირითადად მაინც იძლევა საშუალებას გაცნობითი ან პრაქტიკული პროექტები განხორციელდეს თავად დაწესებულების ბაზაზე და სულაც არ გადიოდეს პრაქტიკის ობიექტზე, თუმცა, ამ შემთხვევაში დაწესებულებას მაინც აქვს გაფორმებული ხელშეკრულება ორგანიზაციასთან. მან კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს, თუ იქნება ამ შემთხვევაში პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება დამატებით რაიმე სარგებლის მომტანი პროფესიული სტუდენტებისთვის. ექსპერტის, ალექსანდრე კეკელიძის განმარტებით კომპიუტერული ქსელის და სისტემების მიმართულებით კარგია სტუდენტებმა ნახონ რეალური სამუშაო გარემო, დიდი უპირატესობაა, თუ გადიან სხვა ობიექტზე. რაც არ უნდა მოინდომოს დაწესებულებამ, ვერ შექმნის იმ გარემოს რასაც რეალურ სამუშაო გარემოში, კომპანიაში ნახავს სტუდენტი, შესაბამისად, კარგია თვალსაწიერის გაფართოებისთვის პრაქტიკის ობიექტის ქონა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ (ს/კ: 200279448) დანართით განსაზღვრულ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 40-ით (**დანართი 5**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 25 ივლისი.

6. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: მარინა გოგოლაძე, თეა ბარამაშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტთა მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №450013 ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (#99/ნ; 01.10.2010წ.)

დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.

მარინა გოგოლაძემ საბჭოს გაუზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებაში დაფიქსირებული საუკეთესო გამოცდილება, რომელსაც წარმოადგენს კოლეჯში მოქმედი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი „სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის“ - ე.წ. FAB-LAB-ი, რომელიც დაწესებულების ხელშეწყობით ნებისმიერ სტუდენტს უზრდის მოტივაციას, აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს ახალი ცოდნა, განივითაროს უნარები და რეალობად აქციოს საკუთარი ინოვაციური იდეები. ლაბორატორია 2016 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით და მხარდაჭერით გაიხსნა. ლაბორატორიაში პერიოდულად ტარდება შეხვედრები სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან, სტუდენტებთან.

დაწესებულებას უკვე გათვალისწინებული აქვს წინა ვიზიტის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან ხარვეზები არ გამოვლენილა. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაციები:

2.2. კომპონენტის ფარგლებში - სასწავლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყოს მოდულებში - „პროდუქციის ციფრული პროექტირება (Autodesk Fusion360)“; „CNC დანადგართან მუშაობა“; „პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“; „მასალათმცოდნეობა ინდუსტრიული დიზაინისთვის“, მითითებული უცხოურენოვანი ლიტერატურის ქართულ ენაზე ადაპტირება, ხოლო მოდულებში „დაზგა- დანადგარებთან მუშაობა“ და „გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“, ლინკებთან ერთად მიუთითოს ქართულენოვანი ლიტერატურა.

ექსპერტებს ვიზიტისას დაწესებულების წარმომადგენლებმა განუმარტეს, რომ ამ დარგში არ არსებობს ლიტერატურა ქართულ ენაზე, სწორედ ამიტომ დაწესებულებას უკვე ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც სწავლების დაწყებამდე მოამზადებენ ჰენდაუთებს/რიდერებს მოდულებში მითითებულ ციფრულ წყაროებზე (ბმულებზე) და უცხოენოვან ლიტერატურაზე დაყრდნობით. საბჭოს მხრიდან გამოითქვა ეჭვი, რომ პროფესიულ სტუდენტებს შეეძმნებოდათ სწავლების პროცესში პრობლემა გამომდინარე იქიდან, რომ სახელმძღვანელო მასალა არის მხოლოდ უცხოურ ენაზე და პროგრამაც დამატებით არ მოითხოვს ენის ცოდნის შემოწმებას, როგორც წინაპირობას. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მაინც უფრო ჩვენებით სწავლება იქნება ეს და უფრო ნაკლებია დატვირთვა ლიტერატურაზე, დაახლოებით რომ წარმოვიდგინოთ, როგორც, მაგალითად, საოფისე პროგრამების სწავლებისას. უფრო მნიშვნელოვანია აქ დარგობრივი ტერმინოლოგიის ცოდნა. პროგრამა კი მოიცავს ტექნიკური ინგლისურის მოდულს, რომელი ამ ცოდნას და უნარებს მისცემს პროფესიულ სტუდენტებს და დაეხმარება სწავლაში.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნის წესი“, რომელშიც გაწერილია დირექციის/ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მაგრამ არ არის გაწერილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სტანდარტის მოთხოვნა, რომ „საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი“ და ასევე ის, რომ პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი ითვლება ადმინისტრაციულ პერსონალად, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ დაწესებულებამ უნდა

გაწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნა. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნის წესში“ გაწეროს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

დაწესებულებამ, გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია დამსაქმებლებისთვის და პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი გამოკითხვის კითხვარების გადახედვა-განახლებასთან დაკავშირებით. რეკომენდაცია შეეხებოდა კითხვარების გადახედვას და გამარტივებას. დაწესებულება ძირითადად კითხვარებში იყენებდა ღია ტიპის კითხვებს. გამომდინარე დამსაქმებლების დაკავებულობიდან იკვეთებოდა რისკი, რომ დაწესებულება ვერ მიიღებდა შესაბამის უკუკავშირს. უმჯობესი იქნებოდა გამოეყენებინათ დახურული ტიპის კითხვები. დაწესებულებამ გადახედა და განაახლა დამსაქმებლებისთვის და პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი კითხვარების ფორმები. აღნიშნული წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად.

ექსპერტებმა საბჭოს სხდომაზე გააჟღერეს, რომ დარგის ექსპერტის მიერ დეტალურად გადამოწმდა პროგრამაში ჩამოთვლილი მატერიალური რესურსი დაწესებულების ბაზაზე და დადგინდა, რომ „შტატივიანი ხელოვნური განათება“ და „რეიშინა (სახაზავი 1მ. პლასტმასისანხის რეიშინა 2 როლიკით)“-სთვის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება №33 შპს „მაი მობაილ“-სთან და მატერიალური რესურსის მიწოდების ვადად განსაზღვრულია 2020 წლის 1 სექტემბერი. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა დასკვნაში.

საბჭომ სათათბირო დრო გამოიყენა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ 2.2 კომპონენტის ნაწილში საკითხი განიხილება მონიტორინგის დანიშვნით. ვინაიდან ამ ნაწილში პრობლემურია სასწავლო რესურსები ქართულ ენაზე და ასევე, კოლეჯი არ არის აღჭურვილი სრულყოფილად პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსით. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეჯის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ, რა ვადაში ფიქრობენ, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს.

კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვადა სწავლის დაწყებამდე, 1 ოქტომბრამდე სავსებით საკმარისი იქნებოდა.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის,

შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ (ს/კ: 200279448) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 6).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 25 ივლისი, ხოლო მონიტორინგის განხორციელება მოხდეს - 2020 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ვიზიტით.

7. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

წარმდგენი: ნაზო წიბლიაშვილი, გიორგი დათუკიშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტთა მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №450012 ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ვებტექნოლოგიების“ დამატების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებას სპეციალობის ერთ-ერთ პროფესიულ მასწავლებლად აყვანილი ჰყავს სსიპ-კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ კურსდამთავრებული - ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ აღნიშნული ფაქტი არის საუკეთესო გამოცდილების მაგალითი.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად გამართლებული იყო აღნიშნული, რაზეც დარგის ექსპერტმა, გიორგი დათუკიშვილმა განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით აღნიშნული პირი ნამდვილად კარგი მასწავლებელი იქნება და კარგი შენაძენია კოლეჯისთვის. ამ სფეროში მხოლოდ მიღებული განათლება არ კმარა. იმისთვის, რომ იყო კარგი სპეციალისტი მუდმივად უნდა ვითარდებოდა და მუშაობდე საკუთარ თავზე. ამ მასწავლებელს აქვს ბევრი საერთაშორისო წარმატება. მოქმედი პრაქტიკოსია - მუშაობს ბევრ საინტერესო ორგანიზაციაში, აქვს მუშაობის საერთაშორისო გამოცდილება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებას უკვე გათვალისწინებული აქვს წინა ვიზიტის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან ხარვეზები არ გამოვლენილა. დაწესებულებას მიეცა რამდენიმე რეკომენდაცია:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნის წესი, რომელშიც გაწერილია დირექციის/ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მაგრამ არაა გაწერილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობებით (დამტკ. ბრძ. N23; 11.02.20 წ) განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის უფლება მოვალეობები. აქედან გამომდინარე რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

2020 წლის 10 ივლისის არგუმენტირებული წერილით და, ასევე, ზეპირ მოსმენაზეც დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ არ ითვალისწინებდა ექსპერტთა პოზიციას. თუმცა სტანდარტის მოთხოვნის, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი ითვლება ადმინისტრაციულ პერსონალად დაწესებულებამ უნდა გაწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნა, რომ ის უნდა იყოს დარგობრივი კომპეტენციის პირი და არა ვთქვათ რაოდენობრივი წიგნიერების ან/და სამოქალაქო განათლების პროფესიული მასწავლებელი.

პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე და ასევე კოლეჯის მატერიალური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით ექსპერტებმა რეკომენდაცია გაუწიეს დაწესებულებას, რომ მოდულის „პრაქტიკული პროექტი - ვებ ტექნოლოგიები“ განხორციელების ალტერნატივად განიხილონ საკუთარი ბაზა, ვინაიდან მოდულის სწავლის შედეგები კოლეჯში უფრო სრულყოფილად იქნება მიღწევადი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“ ითვალისწინებს მოდულს „პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები“, დაწესებულებას მოდულის განხორციელების დამატებით მიდგომებში აღნიშნული აქვს „პრაქტიკული პროექტის მოდულის მეორე სწავლის შედეგი „პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება“ სასურველია განხორციელდეს საწარმოში, სადაც სტუდენტს მოუწევს საქმიანობა რეალურ სამუშაო გარემოში. „პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები“ მოდულის განხორციელების ადგილი: სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“, ილია ვეკუას ქ. N 44, აუდიტორია N14 (B გარემო) და „კომპიუტერული ტექნოლოგიების აკადემია სითიეი“/ „ევროპული განათლების აკადემია ბიდისი“/ შპს „მეგაპლიუსი - C გარემო“ აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოდგენილი იყო პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ კომპანიებთან, შპს „მეგაპლიუს“, მემორანდუმი № 454), შპს „ევროპული განათლების აკადემია ბიდისი“ (მემორანდუმი № 453), შპს „კომპიუტერული ტექნოლოგიების აკადემია სითიეი“ (მემორანდუმი N 452) გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. პარტნიორ კომპანიებში განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაცია, რა დროსაც გამოიკვეთა რომ აღნიშნული კომპანიები ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად, კერძოდ შპს „მეგაპლიუს“ არის პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელი კომპანია საცალო ვაჭრობის ობიექტებისთვის. მათი ძირითადი სამუშაო მიმართულება არ არის ვებტექნოლოგიები, ხოლო შპს „ევროპული განათლების აკადემია ბიდისი“ და შპს „კომპიუტერული ტექნოლოგიების აკადემია სითიეი“

არის სასწავლო ცენტრი, რომელიც თვითონ ახორციელებს სასწავლო კურსებს და არ ითვალისწინებდა კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის პრაქტიკული პროექტის შესრულებას. ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ ზემოთ აღნიშნულ კომპანიებში პროფესიულ სტუდენტებს უნდა წაყოლოდა კოლეჯის წარმომადგენელი, კერძოდ პროგრამის ხელმძღვანელი და მას უნდა განეხორციელებინა კონტროლი პროექტის შესრულებაზე და მასვე უნდა შეეფასებინა პროფესიული სტუდენტი კოლეჯის ბაზაზე. დაწესებულებას განემარტა რომ პარტნიორ დაწესებულებებში შეუძლებელი იყო იმ სწავლის შედეგების მიღწევა რომელიც გათვალისწინებულია მოდულით.

2020 წლის 10 ივლისის არგუმენტირებული წერილით დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა პოზიცია, საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდა ცვლილება და მოდულის “პრაქტიკული პროექტი- ვებტექნოლოგიები” განხორციელების ადგილად მითითებულია სსიპ კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ზეპირ მოსმენაზე ექსპერტთა და დაწესებულების მხიდან დაფიქსირებულ მსჯელობასა და არგუმენტებზე დაყრდნობით, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ 2.2 და 2.4 კომპონენტების ნაწილში, შეფასება „მეტწილი შესაბამისობიდან“ გადაკვალიფიცირდეს/შეიცვალოს „სრულ შესაბამისობად“, ექსპერტთა რეკომენდაციები კი შეიძლება ჩაითვალოს განვითარების რეკომენდაციებად.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ (ს/კ: 200279448) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ვებტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამა. რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. (დანართი 7).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 25 ივლისი.

8. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

წარმდგენი: მარინა გოგოლაძე, თეა ბარამაშვილი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №450013 ბრძანების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (#99/ნ; 01.10.2010წ.) დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადების თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხის ფარგლებში მან უკვე ვრცლად ისაუბრა იგივე კოლეჯში არსებულ პრაქტიკაზე, „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ პროგრამის დამატების ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფის იგივე შემადგენლობამ შეისწავლა საკითხები, რეალურად მსგავსი მიგნებები დაფიქსირდა, ამიტომ ძალიან მოკლედ აღნიშნა, რომ ექსპერტთა მხრიდან ხარვეზები არ გამოვლენილა. „მეტწილი შესაბამისობა“ დაფიქსირდა 2.2 კომპონენტთან და აქაც რეკომენდაციები ეხებოდა ქართულენოვანი რიდერების შექმნას და მატერიალური რესურსის სრულყოფას, რაზეც ვრცლად უკვე ისაუბრა ჯგუფმა ზეპირ მოსმენაზე მეექვსე საკითხის განხილვისას. დამატებითი რეკომენდაცია ან სპეციფიკა ამ წარმოების ფარგლებში არ გამოკვეთილა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ 2.2 კომპონენტის ნაწილში საკითხი განიხილება მონიტორინგის დანიშვნით. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეჯის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ რა ვადაში ფიქრობენ, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს.

კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვადა სწავლის დაწყებამდე, 1 ოქტომბრამდე საკმარისი იქნებოდა.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ (ს/კ: 200279448) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 8).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 25 ივლისი, ხოლო მონიტორინგის განხორციელება მოხდეს - 2020 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ვიზიტით.

9. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ბუღალტრული აღრიცხვის“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა წარმდგენი: თამარ ვალიშვილი, გიული გურგენიძე, ია მოსაშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა დამსწრეებს, რომ საკითხის მოსმენა, ძირითადად, გაიმართა 24 ივლისს და სთხოვა ექსპერტებს, კიდევ ერთხელ რეზიუმეს სახით გაეკეთებინათ საერთო შეფასება იმ კომპონენტებთან დაკავშირებით, რომელთა შეფასებაც ექსპერტთა მხრიდან იყო „მეტწილი შესაბამისობა“ და კონკრეტულად განემარტათ, თუ რა იყო ამ შეფასების განმაპირობებელი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტები მეტწილად შეფასდა ქუთაისის ლოკაციასთან დაკავშირებით. ექსპერტმა ხაზგასმით დააფიქსირა, რომ 2.4 კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტთა შეფასება თანხვედრაშია დაწესებულების თვითშეფასებასთან.

2.2 კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ მატერიალური აღჭურვილობის ნაწილი, რომელიც პროგრამით იყო გათვალისწინებული, არ დახვდათ ექსპერტებს ადგილზე. ექსპერტის თქმით, ფაქტობრივად ეს პრობლემა მოგვარებული იყო ვიზიტის მეორე დღესვე, როდესაც ექსპერტები უკვე ამოწმებდნენ თბილისის ლოკაციას. დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციიდანაც ჩანს, რომ ეს საკითხი მოგვარებულია უკვე. მოწოდებულია ფოტომასალა, ფაქტობრივი დადასტურება - მიღება-ჩაბარების აქტების სახით. ამ წუთისთვის ქუთაისის ლოკაციისთვის 2.2 კომპონენტში პრობლემა მოხსნილია და ფიქსირდება „სრული შესაბამისობა“.

რაც შეეხება 2.3 კომპონენტთან დაფიქსირებულ შეფასებას - ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში არსებობს რეალური პრაქტიკა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა, რა თქმა უნდა, სხვა პროგრამებთან მიმართებაში, რადგან ამ პროგრამას დაწესებულება ახლა იმატებს, თუმცა რეალურად ხორციელდება და ექსპერტებმა ნახეს შევსებული კითხვარებიც. რეგულაციას რაც შეეხება, არსებობს ცალკე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესი. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კუთხით არ იყო გაწერილი, თუმცა ამ შემთხვევაში ექსპერტებს ჰქონდათ ვრცელი ინტერვიუ პროფესიული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილესთან და ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება ერთმნიშვნელოვნად ძალიან კარგად აცნობიერებს, თუ როგორ უნდა განახორციელოს ეს

პროცესი მომავალში. ამ გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, ექსპერტებმა თავისუფლად გამოიტანეს ის დასკვნა, რაც აქვთ დაფიქსირებული დასკვნაში. ექსპერტმა დაადასტურა, რომ აკადემიური საბჭოს დადგენილებით შესულია შესაბამის დადგენილებაში ცვლილება, მუხლი 13-ში დაწვრილებით არის აღწერილი პროცესი, რომელიც სამომავლოდ უნდა განხორციელდეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ზემოხსენებული მექანიზმი, ისევე როგორც წესი, უკვე მრავალი წელია არსებობს უნივერსიტეტში და პროგრამის განხორციელება, შეფასება და განვითარების ციკლი მუშაობს. ფაკულტეტების თუ პროფესიული ცენტრის ფარგლებში ხორციელდება ე.წ. დემინგის ციკლი. ექსპერტებმა ნახეს გამოკითხვები სტუდენტებისა და პერსონალის. ასევე შიდა და გარე მხარდაჭერა ხორციელდება მუდმივად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოდულური პროგრამების განხორციელება დაიწყო უნივერსიტეტმა. თუ საუბარია იმაზე, რატომ დაეთანხმა დაწესებულება ამ რეკომენდაციას და არის ეს შესაბამისობის თუ განმავითარებელი რეკომენდაცია, დაწესებულება დაეთანხმა რეკომენდაციას სწორედ იმ მიზნით, რომ პროცესი გახდეს კიდევ უფრო უკეთესი. აღნიშნული რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია. ფაქტობრივად პროცესი არსებობს, მექანიზმი არსებობს და სწორედ ამ მექანიზმის გამოყენებით დაწესებულება ახორციელებს ხარისხის გაუმჯობესებას, თუ ხარისხის მონიტორინგს ყველა იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც აქამდე ხორციელდებოდა და რომელიც განხორციელდება კიდევ უფრო გაუმჯობესებული მექანიზმით. რეკომენდაციაში საუბარია, თუ რამდენად დეტალიზებული შეიძლება ყოფილიყო მარეგულირებელ წესში კონკრეტული პროცედურა, თუმცა როდესაც დაწესებულებამ წარადგინა თვითშეფასება და მერეც, შესაძლებელია ინახოს, როგორც მუშაობს თვითშეფასების ჯგუფი, ასევე შიდა მონიტორინგის ჯგუფი, როგორ ხდება პროცესზე დაკვირვება. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მუდმივი განვითარების პროცესია და ექსპერტების მიერ რეკომენდებულია კონკრეტული პროცედურის დაზუსტება ერთ-ერთ მარეგულირებელში. დაწესებულებას შეეძლო არ დათანხმებოდა ამ რეკომენდაციას, თუმცა, როდესაც საუბარია იმაზე, რომ მარეგულირებელი დოკუმენტაცია გახდეს უკეთესი იმ რეკომენდაციის საფუძველზე, რომელსაც ექსპერტი იძლევა, ნამდვილად მისასალმებელია დაწესებულების მიმდებლობა. მეორე მხრივ, პროგრამა არ განხორციელებულა და თავისთავად აქ ციკლის შეფასებაზე ლაპარაკი ვერ იქნება, როგორც კი დაასრულებს თავის სასიცოცხლო ხანგრძლივობას, მას ექნება სწავლის შედეგების შეფასების ის რუკა და ის შედეგები, რომელიც მოეთხოვება ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამას.

საბჭოს წევრი, გიორგი ხიშტოვანი, დაინტერესდა, რა ფორმით მოახდინა დაწესებულებამ რეკომენდაციის გათვალისწინება, რა მასშტაბით მოხდა მექანიზმის დაზუსტება, რასთან დაკავშირებითაც ირმა გრძელიძემ განმარტა, რომ მექანიზმში იყო ზოგადი ჩანაწერი, რომელიც მიუთითებდა, რომ პროფესიული ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებით ახორციელებს პროგრამის განხორციელების შეფასებას და განვითარებას. ეს მუხლი დაზუსტდა იმ რეკომენდაციების გათვალისწინებით, რაც ჰქონდა ექსპერტს მითითებული, თუმცა ეს არ გამოიციხავს, რომ ამ ტიპის ღონისძიებები ინსტიტუციაში აქამდეც ტარდებოდა.

გიორგი ხიშტოვანის თქმით, ის რაზეც ქალბატონმა ირმა გრძელიძემ ისაუბრა, ან თუნდაც, რაც ექსპერტებს აქვთ დასკვნაში ასახული, უფრო არის ე.წ. „ინფუთი“, ანუ რას ამბობენ კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, განმახორციელებლები. იგი დაინტერესდა, აისახა თუ არა შეცვლილ მექანიზმში უკვე ისეთი საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, რა შედეგებზე გასვლა შეფასდება, როგორც წარმატებული შედეგი, მერე ამის საფუძველზე განვითარება როგორი იქნება.

ირმა გრძელიძის განცხადებით, უმჯობესი იქნებოდა საკითხის ორ ნაწილად გამიჯვნა. რა თქმა უნდა, ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს პროცესსაც და შედეგსაც. როდესაც საუბარია,

რომ 2.4 კომპონენტში ვერიფიკაციის პროცესს დაწესებულება დაასრულებს მომდევნო 6 თვის განმავლობაში, ანუ „აუთფუტებზე“ მუშაობა გაგრძელდება. პროგრამის განხორციელების შეფასების ნაწილი არის სწორედ ზემოაღნიშნულ მარეგულირებელში განსაზღვრული, რაც შეეხება ვერიფიკაციის ნაწილს, სადაც შედეგებზე ვისაუბრებთ და იმ ზღვრულ თუ სამიზნე ნიშნულებზე, ამაზე გაგრძელდება მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროცედურებთან თუ შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით სტანდარტის იმ პუნქტებში, სადაც არ არის მკაფიო განმარტება, და შეფასების ნაწილი ხდება, ესა თუ ის კომპონენტი ჩაითვალოს თუ არა როგორც „სრულად შესაბამისი“, საბჭოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული პოზიცია, თითოეული აზრი. მან თხოვნით მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ კახაბერ ერაძეს, გაეზიარებინა დამსწრე საზოგადოებისთვის მისი პოზიცია.

კახაბერ ერაძემ საბჭოს წევრებს გაუზიარა საკუთარი მოსაზრება, რომლის თანახმადაც სახეზეა შემდეგი გარემოება: უნივერსიტეტი შესაბამისობაშია შემდეგ მოთხოვნასთან: პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამის შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმებით. რადგანაც პროგრამის განვითარების მიზნით არსებული პრაქტიკა არსებობს, რაც დასტურდება სათანადო მტკიცებულებებით. ერთადერთი, რაზეც ექსპერტი აპელირებს არის ის, რომ ეს პრაქტიკა წერილობითი სახით არაა დეტალურად გაწერილი, რაც სრულიად მისაღები რეკომენდაციაა, თუმცა ამის გარეშეც, არსებული პრაქტიკა ადასტურებს მექანიზმების არსებობას და მათ გამოყენებას.

რაც შეეხება ზოგად მიდგომას, საქმე თსუ-თან ან სხვა, უკვე არსებულ დაწესებულებასთან რომ არ გვექონოდა, ახალ დაწესებულებებთან მიმართებით დებულების იგივე მე-40 მუხლი ადგენს, რომ ახალი დაწესებულებების შემთხვევაში, სადაც პრაქტიკა ჯერ არ არსებობს, უნდა შეფასდეს მიღწევადი მოსალოდნელი შედეგები. ამ მიზნებისათვის სრულიად რელევანტური იქნებოდა ექსპერტი შეფასების გასაკეთებლად მხოლოდ წერილობით გაწერილ რეგულაციას დაყრდნობოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ მათი მოსაზრება 2.3 კომპონენტის შეფასებასთან დაკავშირებით.

შორენა ჯაფარიძის განცხადებით ექსპერტთა და დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან კიდევ ერთხელ გაკეთებულ შეჯამებაზე დაყრდნობით, მისთვის ცხადი გახდა, რომ დაწესებულებაში რეალურად მექანიზმები არსებობს და ის რეკომენდაცია, რაც გაიცა ექსპერტთა მხრიდან, შინაარსობრივად არის მისაღები. მისი მოსაზრებით, რეკომენდაცია უნდა დარჩეს ძალაში, თუმცა შეეცვალოს სტატუსი და გახდეს განვითარების რეკომენდაცია. ასევე, აღნიშნა, რომ იგი გაეცნო დაწესებულების მიერ განხორციელებულ ცვლილებას და ისურვა, რომ ცვლილებები შეეტანათ არა მარტო მე-13 მუხლში, არამედ ყველა დანარჩენ პუნქტებშიც, როგორცაა, მაგალითად, პროგრამის შემუშავება, ცვლილებების შეტანა და ასე შემდეგ, ნამდვილად რეგულაციის დონეზე არის დასაზუსტებელი. ის დოკუმენტი, რაც წარმოდგენილია დაწესებულების მხრიდან, არის უფრო კონცეპტუალური დოკუმენტი, უმჯობესი იქნება თუ უფრო ჩამოლილად, დაწვრილებით იქნება მასში ასახული, თუ როგორ ხდება პროგრამის შემუშავება, ვინ არის ამაში ჩართული, რა კომპონენტებს ითვალისწინებს, როგორ იგეგმება მატერიალური რესურსების მობილიზება და ასე შემდეგ. მისი რწმენით, დაწესებულება რეალურად ახორციელებს ყველა საჭირო და მნიშვნელოვან აქტივობას და ურჩია მათ, აღნიშნული ასახონ რეგულაციაშიც. მისი აზრით, 2.3 კომპონენტი განსახილველად წარმოდგენილი წარმოების ფარგლებში შეიძლება შეფასდეს სრულ შესაბამისობაში, მაგრამ

აუცილებლად უნდა დარჩეს რეკომენდაცია, რომელსაც სტატუსი შეეცვლება და გახდება განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც შემოწმდება გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

გიორგი ხიშტოვანის თქმით დაწესებულების მიერ შეცვლილი რეგულაცია შეიძლება „ბუკვალურად“ ჩაითვალოს, რომ არის მექანიზმი, თუმცა რეალურად ეს უფრო პროგრამის შეფასების პროცესის აღწერაა. დოკუმენტი არ არის ასახული შედეგების შეფასების ნაწილი. აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან რეკომენდაცია შესრულებულია, თუმცა შუამდგომლობით მიმართა ცენტრს გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში აუცილებლად გადამოწმდეს უშუალოდ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის შედეგების შეფასება. ასევე, გაიზიარა ქალბატონი შორენა ჯაფარიძის მოსაზრება, რომ 2.3 კომპონენტი ამ ეტაპზე შეიძლება შეფასდეს სრულ შესაბამისობაში, დარჩეს რეკომენდაცია ძალაში, რომელსაც სტატუსი შეეცვლება და გახდება განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც შემოწმდება გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში და ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, დაგეგმოს მხარდაჭერის აქტივობები, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებას ამ ნაწილში დაეხმარება რეგულაციის უკეთ გააზრებასა და გაწერაში.

მარიამ ჩაგელიშვილის განცხადებით, ცხადია, საბჭოსთვისაც, ისევე როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ცენტრისთვის, ახალია პროცესი, რადგან ამჟამად მიმდინარე საქმისწარმოებები ავტორიზაციის ახალი სტანდარტების ფარგლებში განიხილება, შესაბამისად, თითოეულ ჯერზე საბჭო ძალზე გულდასმით განიხილავს საკითხს. საბჭო ორიენტირებულია დაწესებულების მიმართ ძალაში დატოვოს და გამოიყენოს რეკომენდაციები, რომლებიც რეალურად გააუმჯობესებს ხარისხის უზრუნველყოფას საგანმანათლებლო დაწესებულებებში და, მეორე მხრივ, მოახდინოს შესაძლო რეკომენდაციების იდენტიფიცირება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის, რაც ზოგადად შეცვლის მოცემულობას უკეთესობისკენ. აბსოლუტურად მისასალმებელია ცენტრის პოზიცია, რომ კომპლექსურად და სისტემურად იყოს ეს საკითხი (2.3 კომპონენტთან დაკავშირებული) განხილული და გახდეს გეგმიური მონიტორინგის საფუძველი არა მხოლოდ ამ დაწესებულებაში, არამედ სხვა დაწესებულებებშიც. სისტემურობა აქ ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მისი რწმენით აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით სხვა დაწესებულებებიც საჭიროებენ დამატებით რეკომენდაციებს და მხარდაჭერას ცენტრის მხრიდან. მისი აზრითაც შესაძლებელია 2.3 კომპონენტი ამ ეტაპზე შეფასდეს სრულ შესაბამისობაში, მიზანშეწონილია დარჩეს რეკომენდაცია ძალაში, რომელსაც სტატუსი შეეცვლება და გახდება განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც შემოწმდება წლიური გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

ნინო კაკულია და მარიამ ქუჩულორიაც დაეთანხმნენ მოსაზრებას, რომ 2.3 კომპონენტი შეფასდეს საბჭოს მხრიდან სრულ შესაბამისობაში, ექსპერტთა რეკომენდაცია დარჩეს ძალაში, შეეცვალოს სტატუსი, შესაბამისობის რეკომენდაციიდან განმავითარებელ რეკომენდაციად და შემოწმდეს გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა თითოეული წევრის მოსაზრების მნიშვნელოვანებაზე პროცესის გამჭვირვალობის და მიუკერძოებლობის თვალსაზრისით და განაცხადა, რომ იზიარებს კოლეგების მოსაზრებებს. განაცხადა, რომ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2.2 და 2.3 კომპონენტების ნაწილში, შეფასება „მეტწილი შესაბამისობიდან“ გადაკვალიფიცირდეს/შეიცვალოს „სრულ შესაბამისობად“, ექსპერტთა რეკომენდაცია დარჩეს ძალაში, შეეცვალოს სტატუსი, გახდეს განმავითარებელი რეკომენდაცია და შემოწმდეს ცენტრის მიერ დაგეგმილი გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ბუღალტრული აღრიცხვის“ (ქუთაისი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ:204864548) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამა ქალაქ ქუთაისში (**დანართი 9**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 25 ივლისი, ხოლო დაწესებულებაში 2.3 კომპონენტის ფარგლებში მონიტორინგი განხორციელდეს 2021 წლის გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

10. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ (თბილისი) საკითხისგანხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, კიდევ ერთხელ რეზიუმეს სახით გაეკეთებინათ საერთო შეფასება იმ კომპონენტებთან დაკავშირებით, რომელთა შეფასებაც ექსპერტთა მხრიდან იყო „მეტწილი შესაბამისობა“. კონკრეტულად განემარტათ რა იყო ამ შეფასების განმაპირობებელი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ 2.3 და 2.4 კომპონენტები მეტწილად შეფასდა თბილისის ლოკაციასთან დაკავშირებით. ექსპერტმა ხაზგასმით დააფიქსირა, რომ 2.4 კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტთა შეფასება თანხვედრაშია დაწესებულების თვითშეფასებასთან.

2.3 კომპონენტთან დაფიქსირებულ შეფასებას - ინტერვიუს დროს გამოიკვეთა იმ დაწესებულებაში არსებობს რეალური პრაქტიკა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა, რა თქმა უნდა, სხვა პროგრამებთან მიმართებაში, რადგან ამ პროგრამას დაწესებულება ახლა იმატებს, თუმცა რეალურად ხორციელდება და ექსპერტებმა ნახეს შევსებული კითხვარებიც. რეგულაციას რაც შეეხება, არსებობს ცალკე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესი. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კუთხით არ იყო გაწერილი, თუმცა ხედვა ადმინისტრაციის, ამ შემთხვევაში ექსპერტებს ჰქონდა ვრცელი ინტერვიუ პროფესიული

ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილესთან და ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ცალსახად ძალიან კარგად აცნობიერებს დაწესებულება, თუ როგორ უნდა განახორციელოს ეს პროცესი მომავალში. ამ გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე ექსპერტებმა თავისუფლად გამოიტანეს ის დასკვნა, რაც აქვთ დაფიქსირებული დასკვნაში. ექსპერტმა დაადასტურა, რომ აკადემიური საბჭოს დადგენილებით შესულია შესაბამის დადგენილებაში ცვლილება, მუხლი 13-ში დაწვრილებით, არის აღწერილი პროცესი, რომელიც სამომავლოდ უნდა განხორციელდეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ზემოხსენებული მექანიზმი, ისევე როგორც წესი, არსებობს უკვე მრავალი წელია უნივერსიტეტში და პროგრამის განხორციელება, შეფასება და განვითარების ციკლი მუშაობს. ფაკულტეტების თუ პროფესიული ცენტრის ფარგლებში ხორციელდება ე.წ. დემინგის ციკლი. ექსპერტებმა ნახეს გამოკითხვები სტუდენტების, პერსონალის. ასევე შიდა და გარე მხარდაჭერა ხორციელდება მუდმივად, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც მოდულური პროგრამების განხორციელება დაიწყო უნივერსიტეტმა. თუ საუბარია იმაზე, რომ რატომ დაეთანხმა დაწესებულება ამ რეკომენდაციას და არის ეს შესაბამისობის თუ განმავითარებელი რეკომენდაცია, დაწესებულება დაეთანხმა რეკომენდაციას სწორედ იმ მიზნით, რომ პროცესი გახდეს კიდევ უფრო უკეთესი. აღნიშნული რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია. ფაქტობრივად პროცესი არსებობს, მექანიზმი არსებობს და სწორედ ამ მექანიზმის გამოყენებით დაწესებულება ახორციელებს ხარისხის გაუმჯობესებას, თუ ხარისხის მონიტორინგს ყველა იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც აქამდე ხორციელდებოდა და რომელიც განხორციელდება კიდევ უფრო გაუმჯობესებული მექანიზმით. აქ საუბარია, თუ რამდენად დეტალიზებული შეიძლება ყოფილიყო მარეგულირებელ წესში კონკრეტული პროცედურა, თუმცა როდესაც დაწესებულებამ წარადგინა თვითშეფასება და მერეც შესაძლებელია ინახოს, როგორ მუშაობს თვითშეფასების ჯგუფი, როგორ მუშაობს შიდა მონიტორინგის ჯგუფი, როგორ ხდება პროცესზე დაკვირვება და კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მუდმივი პროცესია, მუდმივი განვითარების პროცესია. აქ საუბარია კონკრეტული პროცედურის დაზუსტებაზე ერთ-ერთ მარეგულირებელში. დაწესებულებას შეეძლო არ დაეთანხმებოდა ამ რეკომენდაციას, თუმცა, როდესაც საუბარია იმაზე, რომ მარეგულირებელი გახდეს უკეთესი იმ რეკომენდაციის საფუძველზე, რომელსაც ექსპერტი იძლევა, ნამდვილად მისასალმებელია. მეორე მხრივ, პროგრამა არ განხორციელებულა და თავისთავად აქ ციკლის შეფასებაზე ლაპარაკი ვერ იქნება, როგორც კი დაასრულებს თავის სასიცოცხლო ხანგრძლივობას, მას ექნება სწავლის შედეგების შეფასების ის რუკა და ის შედეგები, რომელიც მოეთხოვება ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამას.

საბჭოს წევრი, გიორგი ხიშტოვანი, დაინტერესდა რა ფორმით გაითვალისწინა დაწესებულებამ რეკომენდაცია, რა მასშტაბით დაზუსტდა მექანიზმი. აღნიშნულთან დაკავშირებით ირმა გრძელიძემ განმარტა, რომ მექანიზმში იყო ზოგადი ჩანაწერი, რომელიც მიუთითებდა, რომ პროფესიული ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებით ახორციელებს პროგრამის განხორციელების შეფასებას და განვითარებას. ეს მუხლი დაზუსტდა იმ რეკომენდაციების გათვალისწინებით, რაც ჰქონდა ექსპერტს მითითებული, თუმცა ეს არ გამოიცხადეს, რომ ამ ტიპის ღონისძიებები ინსტიტუციაში აქამდეც ტარდებოდა.

გიორგი ხიშტოვანის თქმით, ის რაზეც ქალბატონმა ირმა გრძელიძემ ისაუბრა, ან თუნდაც, რაც ექსპერტებს აქვთ დასკვნასი ასახული, უფრო არის ე.წ. „ინფუთი“, ანუ რას გვეუბნებიან კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, განმახორციელებლები. იგი დაინტერესდა, აისახა თუ არა შეცვლილ მექანიზმში ისეთი საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, რა შედეგებზე გასვლა შეფასდება როგორც წარმატებული შედეგი, მერე ამის საფუძველზე განვითარება როგორი იქნება.

ირმა გრძელიძის განცხადებით, უმჯობესი იქნებოდა საკითხის ორ ნაწილად გამიჯვნა. რა თქმა უნდა, ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს პროცესსაც და შედეგსაც. როდესაც საუბარია, რომ 2.4 კომპონენტში ვერიფიკაციის პროცესს დაწესებულება დაასრულებს მომდევნო 6 თვის განმავლობაში, ანუ „აუთფუტებზე“ მუშაობა გაგრძელდება. პროგრამის განხორციელების შეფასების ნაწილი არის სწორედ ზემოაღნიშნულ მარეგულირებელში განსაზღვრული. რაც შეეხება ვერიფიკაციის ნაწილს, სადაც შედეგებზე ვისაუბრებთ და იმ ზღვრულ თუ სამიზნე ნიშნულებზე ამაზე გაგრძელდება მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროცედურებთან თუ შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით სტანდარტის იმ პუნქტებში, სადაც არ არის მკაფიო განმარტება, და შეფასების ნაწილი ხდება ესა თუ ის კომპონენტი ჩაითვალოს თუ არა როგორც „სრულად შესაბამისი“ საბჭოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული პოზიცია, თითოეული აზრი. მან თხოვნით მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ კახაბერ ერამეს გაეზიარებინა დამსწრე საზოგადოებისთვის მისი პოზიცია.

კახაბერ ერამემ საბჭოს წევრებს გაუზიარა საკუთარი მოსაზრება, რომლის თანახმადაც სახეზეა შემდეგი გარემოება: უნივერსიტეტი შესაბამისობაშია შემდეგ მოთხოვნასთან: პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამის შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმებით. რადგანაც პროგრამის განვითარების მიზნით არსებული პრაქტიკა არსებობს, რაც დასტურდება სათანადო მტკიცებულებებით. ერთადერთი, რაზეც ექსპერტი აპელირებს არის ის, რომ ეს პრაქტიკა წერილობითი სახით არაა დეტალურად გაწერილი, რაც სრულიად მისაღები რეკომენდაციაა, თუმცა ამის გარეშეც, არსებული პრაქტიკა ადასტურებს მექანიზმების არსებობას და მათ გამოყენებას.

რაც შეეხება ზოგად მიდგომას, საქმე თსუ-თან ან სხვა, უკვე არსებულ დაწესებულებასთან რომ არ გვექნოდა, ახალ დაწესებულებებთან მიმართებით დებულების იგივე მე-40 მუხლი ადგენს, რომ ახალი დაწესებულებების შემთხვევაში, სადაც პრაქტიკა ჯერ არ არსებობს, უნდა შეფასდეს მიღწევადი მოსალოდნელი შედეგები. ამ მიზნებისათვის სრულიად რელევანტური იქნებოდა ექსპერტი შეფასების გასაკეთებლად მხოლოდ წერილობით გაწერილ რეგულაციას დაყრდნობოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ მათი მოსაზრება 2.3 კომპონენტის შეფასებასთან დაკავშირებით.

შორენა ჯაფარიძის განცხადებით ექსპერტთა და დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან კიდევ ერთხელ გაკეთებულ შეჯამებაზე დაყრდნობით მისთვის ცხადი გახდა, რომ დაწესებულებაში რეალურად მექანიზმები არსებობს და ის რეკომენდაცია, რაც გაიცა ექსპერტთა მხრიდან, შინაარსობრივად არის მისაღები. მისი მოსაზრებით რეკომენდაცია უნდა დარჩეს ძალაში, თუმცა შეეცვალოს სტატუსი და გახდეს განვითარების რეკომენდაცია. ასევე, აღნიშნა, რომ იგი გაეცნო დაწესებულების მიერ განხორციელებულ ცვლილებას და ისურვა, რომ ცვლილებები შეეტანათ არა მარტო მე-13 მუხლში, არამედ ყველა დანარჩენ პუნქტებშიც, როგორცაა, მაგალითად, პროგრამის შემუშავება, ცვლილებების შეტანა და ასე შემდეგ, ნამდვილად რეგულაციის დონეზე არის დასაზუსტებელი. ის დოკუმენტი, რაც წარმოდგენილია დაწესებულების მხრიდან არის უფრო კონცეფტუალური დოკუმენტი, უმჯობესი იქნება თუ უფრო ჩაშლილად, დაწვრილებით იქნება მასში ასახული თუ როგორ ხდება პროგრამის შემუშავება, ვინ არის ამაში ჩართული, რა კომპონენტებს ითვალისწინებს, როგორ იგეგმება მატერიალური რესურსების მობილიზებას და ასე შემდეგ. მისი რწმენით

დაწესებულება რეალურად ახორციელებს ყველა სჭირო და მნიშვნელოვან აქტივობას და ურჩია მათ აღნიშნული ასახონ რეგულაციაშიც. მისი აზრით 2.3 კომპონენტი განსახილველად წარმოდგენილი წარმოების ფარგლებში შეიძლება შეფასდეს სრულ შესაბამისობაში, მაგრამ აუცილებლად უნდა დარჩეს რეკომენდაცია, რომელსაც სტატუსი შეეცვლება და გახდება განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც შემოწმდება გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

გიორგი ხიშტოვანის თქმით დაწესებულების მიერ შეცვლილი რეგულაცია შეიძლება „ბუკვალურად“ ჩაითვალოს, რომ არის მექანიზმი, თუმცა, რეალურად ეს უფრო არის პროგრამის შეფასების პროცესის აღწერა. დოკუმენტში არ არის ასახული შედეგების შეფასების ნაწილი. აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან რეკომენდაცია შესრულებულია, თუმცა შუამდგომლობით მიმართა ცენტრს გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში აუცილებლად გადამოწმდეს უშუალოდ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის შედეგების შეფასება. ასევე, გაიზიარა ქალბატონი შორენა ჯაფარიძის მოსაზრება, რომ 2.3 კომპონენტი ამ ეტაპზე შეიძლება შეფასდეს სრულ შესაბამისობაში, დარჩეს რეკომენდაცია ძალაში, რომელსაც სტატუსი შეეცვლება და გახდება განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც შემოწმდება გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში და ცენტრს მიმართა შუამდგომლობით დაგეგმოს მხარდაჭერის აქტივობები, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებას ამ ნაწილში დაეხმარება რეგულაციის უკეთ გააზრებასა და გაწერაში.

მარიამ ჩაგელიშვილის განცხადებით, ცხადია, საბჭოსთვისაც, ისევე როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ცენტრისთვის, ახალია პროცესი, რადგან ამჟამად მიმდინარე საქმისწარმოებები განიხილება ავტორიზაციის ახალი სტანდარტების ფარგლებში, შესაბამისად, თითოეულ ჯერზე საბჭო ძალზე გულდასმით განიხილავს საკითხს. საბჭო ორიენტირებულია დაწესებულების მიმართ ძალაში დატოვოს და გამოიყენოს რეკომენდაციები, რომლებიც რეალურად გააუმჯობესებს ხარისხის უზრუნველყოფას საგანმანათლებლო დაწესებულებებში და, მეორე მხრივ, მოახდინოს შესაძლო რეკომენდაციების იდენტიფიცირება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის, რაც ზოგადად შეცვლის მოცემულობას უკეთესობისკენ. მისასალმებელია ცენტრის პოზიცია, რომ კომპლექსურად და სისტემურად იყოს ეს საკითხი (2.3 კომპონენტთან დაკავშირებული) განხილული და გახდეს გეგმიური მონიტორინგის საფუძველი არა მხოლოდ ამ დაწესებულებაში, არამედ სხვა დაწესებულებებშიც. სისტემურობა აქ არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან მისი რწმენით აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით სხვა დაწესებულებებიც საჭიროებენ დამატებით რეკომენდაციებს. მისი აზრითაც 2.3 კომპონენტი ამ ეტაპზე შეიძლება შეფასდეს სრულ შესაბამისობაში, მიზანშეწონილია დარჩეს რეკომენდაცია ძალაში, რომელსაც სტატუსი შეეცვლება და გახდება განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც შემოწმდება გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

ნინო კაკულია და მარიამ ქუჩულორია დაეთანხმნენ მოსაზრებას, რომ 2.3 კომპონენტი შეფასდეს საბჭოს მხრიდან სრულ შესაბამისობაში, ექსპერტთა რეკომენდაცია დარჩეს ძალაში, შეეცვალოს სტატუსი, რეკომენდაცია გახდეს განმავითარებელი და შემოწმდეს გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ 2.3 კომპონენტის ნაწილში, შეფასება „მეტწილი შესაბამისობიდან“ გადაკვალიფიცირდეს/შეიცვალოს „სრულ შესაბამისობად“, ექსპერტთა რეკომენდაცია დარჩეს ძალაში, შეეცვალოს სტატუსი, გახდეს განმავითარებელი რეკომენდაცია და შემოწმდეს გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ქალაქ თბილისში დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ:204864548) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამა ქალაქ თბილისში (**დანართი 10**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 25 ივლისი, ხოლო დაწესებულებაში 2.3 კომპონენტის ფარგლებში მონიტორინგი განხორციელდეს 2021 წლის გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა, ერთ პრეზენტაციით წარმოედგინათ მე-11 და მე-12 საკითხები

11. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის თბილისში „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა

12. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქუთაისში „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა

წარმდგენი: თამარ ვალიშვილი, გიული გურგენიძე, ია მოსაშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტთა მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს.

წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით ორივე ლოკაციაზე, თბილისშიც და ქუთაისშიც, ერთნაირად არის შეფასებული 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტები „მეტწილ შესაბამისობაში“. აქაც შესაძლებელია ითქვას, რომ 2.4 კომპონენტის შეფასებაში ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და შეფასება დარჩა „მეტწილ შესაბამისობა“. ხოლო 2.2 და 2.3 კომპონენტები ექსპერტთა მხრიდან შეფასდა „მეტწილ შესაბამისობაში“, განსხვავებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებისგან, სადაც აღნიშნული კომპონენტები შეფასებული იყო როგორც „სრული შესაბამისობა“. 2.2.1 კრიტერიუმის ფარგლებში ვიზიტის დროს მატერიალური აღჭურვილობის ნაწილი, რომელიც პროგრამით იყო გათვალისწინებული, არ დახვდათ ექსპერტებს ადგილზე. ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს ნანახი იქნა ტენდერების მოსამზადებელი დოკუმენტაცია იმ მატერიალური რესურსის შესყიდვის უზრუნველყოფის მიზნით, რაც აკლდა დაწესებულებას. უნივერსიტეტის პროფესიული ცენტრის დირექტორის განმარტებით პანდემიის გამო შეფერხდა ტენდერის გამოცხადების პროცესი, თუმცა მატერიალური რესურსი, რომელიც აკლია პროგრამას, შეძენილი იქნება ერთ თვეში. შესაბამისად, ექსპერტებმა კომპონენტი შეაფასეს „მეტწილ შესაბამისობაში“ და გასცეს რეკომენდაცია, რომ არსებული მატერიალური რესურსი მოყვანილი იყოს შესაბამისობაში მითითებულ სასწავლო რესურსებთან და მოხდეს განხორციელების ადგილზე რესურსის სრულად მობილიზება. დარგის ექსპერტის განმარტებით, მატერიალური რესურსი, რომელიც ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა, არის აუცილებელი რიგი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. აუცილებელია ზემოხსენებული მატერიალური რესურსის მობილიზება სწავლის დაწყებამდე.

თამარ ვალიშვილმა, განაცხადა, რომ 2.3 და 2.4 კომპონენტებთან დაკავშირებით იდენტურია ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, როგორც ეს იყო „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის დამატების წარმოებისას. ექსპერტი აღარ ჩაუღმავდა საკითხს და აღარ იმსჯელა ხელახლა, რადგან აღნიშნულზე ვრცელი მსჯელობა გაიმართა დღის წესრიგით გათვალისწინებულ წინა ორი საკითხის განხილვის დროს.

ირმა გრძელიძის განცხადებით ტენდერის პროცესი შეფერხდა პანდემიის გამო, თუმცა ამ ეტაპზე უკვე გამოცხადებულია და სწავლის დაწყებამდე, ერთი თვის ვადაში აღნიშნული პროცესი დასრულდება. უნივერსიტეტის პროფესიული ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით ტენდერი გამოცხადებულია, თუმცა ჯერ გამარჯვებული გამოვლენილი არ არის.

ნინო კაკულიამ დააფიქსირა ალბათობა რისკისა, რომ შესაძლოა ტენდერი ჩაიშალოს. რასთან დაკავშირებითაც უნივერსიტეტის პროფესიული ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის აღჭურვილობა, რაც ამ ტენდერის ფარგლებში არის შესაძენი არ არის იშვიათი, არის ადვილად მოსაძიებელი საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზეც, აქედან გამომდინარე, დაწესებულება იმედოვნებს, რომ შეფერხებების გარეშე ერთ თვეში მოახერხებს მატერიალური რესურსის შეძენას.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, მიუხედავად დაწესებულების ოპტიმისტური პროგნოზებისა, მაინც იკვეთება რისკები ტენდერთან დაკავშირებით. ასევე, საკითხი ეხება სპეციფიურ აღჭურვილობას, როცა მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსი შემოწმდეს ადგილზე, თუნდაც მისი გამართულობის კუთხით, შესაბამისად, დაწესებულებას ამ ეტაპზე

რომც წარმოედგინა სურათები მატერიალური რესურსის, იგი თავს შეიკავებდა დადებითად შეფასებისგან. მისი აზრით იკვეთება 2.2 კომპონენტის მონიტორინგის გზით გადამოწმების საჭიროება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2.2 კომპონენტის ნაწილში საკითხი განიხილება მონიტორინგის დანიშვნით. ვინაიდან დაწესებულებას აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, აინტერესებს, დაწესებულება რა ვადაში ფიქრობს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს.

უნივერსიტეტის პროფესიული ცენტრის წარმომადგენლებმა აღნიშნა, რომ ვადა სწავლის დაწყებამდე, 1 ოქტომბრამდე სავსებით საკმარისი იქნებოდა.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საფინანსო სერვისების“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ:204864548) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამა ქალაქ თბილისში (**დანართი 11**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 25 ივლისი, ხოლო მონიტორინგის განხორციელების ვადის ათვლა - 2020 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ვიზიტით.

12. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საფინანსო სერვისების“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით ორივე ლოკაციაზე, თბილისშიც და ქუთაისშიც, ერთნაირად არის შეფასებული 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტები „მეტწილ შესაბამისობაში“. აქაც შესაძლებელია ითქვას, რომ 2.4 კომპონენტის შეფასებაში ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და შეფასება დარჩა „მეტწილ შესაბამისობა“. ხოლო 2.2 და 2.3 კომპონენტები ექსპერტთა მხრიდან შეფასდა „მეტწილ შესაბამისობაში“, განსხვავებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებისგან, სადაც აღნიშნული კომპონენტები შეფასებული იყო როგორც „სრული შესაბამისობა“. 2.2.1 კრიტერიუმის ფარგლებში ვიზიტის დროს მატერიალური აღჭურვილობის ნაწილი, რომელიც პროგრამით იყო გათვალისწინებული, არ დახვდათ ექსპერტებს ადგილზე. ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს

ნანახი იქნა ტენდერების მოსამზადებელი დოკუმენტაცია იმ ატერიალური რესურსის შესყიდვის უზრუნველყოფის მიზნით, რაც აკლდა დაწესებულებას. უნივერსიტეტის პროფესიული ცენტრის დირექტორის განმარტებით პანდემიასთან დაკავშირებით შეფერხდა ტენდერის გამოცხადების პროცესი, თუმცა მატერიალური რესურსი, რომელიც აკლია პროგრამას, შეძენილი იქნება ერთ თვეში. შესაბამისად ექსპერტებმა კომპონენტი შეაფასეს „მეტწილ შესაბამისობაში“ და გასცეს რეკომენდაცია - არსებული მატერიალური რესურსი უნდა იყოს მოყვანილი შესაბამისობაში მითითებულ სასწავლო რესურსებთან და მოხდეს მისი განხორციელების ადგილზე სრული მობილიზება. დარგის ექსპერტის განმარტებით, მატერიალური რესურსი, რომელიც ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა, არის აუცილებელი რიგი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. აუცილებელია ზემოხსენებული მატერიალური რესურსის მობილიზება მოხდეს სწავლის დაწყებამდე.

თამარ ვალიშვილმა, განაცხადა, რომ 2.3 და 2.4 კომპონენტებთან დაკავშირებით იდენტურია ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, როგორც ეს იყო „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის დამატების წარმოებისას. ექსპერტი აღარ ჩაუღმავდა საკითხს და აღარ იმსჯელა ხელახლა, რადგან აღნიშნულზე ვრცელი მსჯელობა გაიმართა დღის წესრიგით გათვალისწინებულ წინა ორი საკითხის განხილვის დროს.

ირმა გრძელიძის განცხადებით ტენდერის პროცესი შეფერხდა პანდემიის გამო, თუმცა ამ ეტაპზე უკვე გამოცხადებულია და სწავლის დაწყებამდე, ერთი თვის ვადაში აღნიშნული პროცესი იქნება დასრულებული. უნივერსიტეტის პროფესიული ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით ტენდერი არის გამოცხადებულია თუმცა ჯერ გამარჯვებული გამოვლენილი არ არის.

ნინო კაკულიამ დააფიქსირა ალბათობა რისკისა, რომ შესაძლოა ტენდერი ჩაიშალოს. რასთან დაკავშირებითაც უნივერსიტეტის პროფესიული ცენტრის წარმომადგენლმა განაცხადა, რომ ის აღჭურვილობა, რაც ამ ტენდერის ფარგლებში არის შესაძენი არ არის იშვიათი, არის ადვილად მოსაძიებელი საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზეც, აქედან გამომდინარე, დაწესებულება იმედოვნებს რომ შეფერხებების გარეშე ერთ თვეში მოახერხებს მატერიალური რესურსის შეძენას.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, მიუხედავად დაწესებულების ოპტიმისტური პროგნოზებისა, მაინც იკვეთება რისკები ტენდერთან დაკავშირებით. ასევე, საკითხი ეხება სფეციფიურ აღჭურვილობას, როცა მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსი შემოწმდეს ადგილზე, თუნდაც მისი გამართულობის კუთხით, შესაბამისად, დაწესებულებას ამ ეტაპზე რომც წარმოედგინა სურათები მატერიალური რესურსის, იგი თავს შეიკავებდა დადებითად შეფასებისგან. მისი აზრით იკვეთება 2.2 კომპონენტის მონიტორინგის გზით გადამოწმების საჭიროება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2.2 კომპონენტის ნაწილში საკითხი განიხილება მონიტორინგის დანიშვნით. ვინაიდან დაწესებულებას აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, აინტერესებს, დაწესებულება რა ვადაში ფიქრობს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს.

უნივერსიტეტის პროფესიული ცენტრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ვადა სწავლის დაწყებამდე, 1 ოქტომბრამდე სავსებით საკმარისი იქნებოდა.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საფინანსო სერვისების“

(ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 204864548) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამა ქალაქ ქუთაისში(დანართი 12).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 25 ივლისი, ხოლო მონიტორინგის განხორციელება მოხდეს - 2020 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ვიზიტით.

13. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №42 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხისგანხილვა

წარმდგენი: ნანი დალაქიშვილი

ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ საკითხი ეხება ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №42 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას. აღნიშნული ცვლილების საფუძველი არის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წერილი, რომლითაც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეცნობა, რომ "რკინიგზის ელექტრო-მომარაგების მეურნეობის" საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის - 0732 - არ შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ "სწავლის სფეროების კლასიფიკატორს". მითითებული უნდა იყოს კოდი 0713. ცენტრმა უზრუნველყო შესაბამისი ცვლილება და მიმართავს საბჭოს შუამდგომლობით, შეიტანოს შესაბამისი ცვლილება საბჭოს გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი სახით.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №42 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მ ო მ ხ რ ე
წინააღმდეგი - 0

-

6

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №42 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 13**)

საბჭოს გადაწყვეტილებით 2020 წლის 25 ივლისის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული 6 საკითხის განხილვა გადაიდო 27 ივლისის სხდომაზე:

14. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „მებაღეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

15. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სატყეო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

16. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ლონისძიების ორგანიზების“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

17. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

18. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ლონისძიების ორგანიზების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

19. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

25 ივლისის სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:00 საათზე

2020 წლის 25 ივლისის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ექვსი საკითხის განხილვა მოხდა 27 ივლისის სხდომაზე.

27 ივლისის სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში,

EQE VET Authorization is inviting you to a scheduled Zoom meeting.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/87170668351>

Meeting ID: 871 7066 8351

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების სავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის - "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" კონსულტანტი (საბჭოს თავმჯდომარე);

გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ - პმს კვლევითი ცენტრის კვლევითი დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)

მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ (საბჭოს მდივანი);

ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი - მადონა მიქელაძე

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი - მამუკა გოგელია

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ირმა გრძელიძე
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი - კახაბერ ჭეიშვილი
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე - ლევან წიქარიძე

ექსპერტები:

ნინო ხაჩიძე
თამარ ზარანდია
ციცინო თურქაძე
გიორგი ხაბეიშვილი
ირინე ფხაკაძე
თამთა კვინიკაძე
ინგა ბოჭოიძე
ქეთევან ღვანიძე

საბჭოს სხდომა 27 ივლისს დაიწყო 19:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და კოლეჯების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მოსამზადებლად სხდომის აუდიო ჩანაწერი მზადდებოდა და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. ფოტო-ვიდეო გადაღება აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

14. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „მებაღეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

15. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სატყეო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

16. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ლონისძიების ორგანიზების“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

17. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

18. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ლონისძიების ორგანიზების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

19. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

14. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „მებაღეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ნინო ხაჩიძე, თამთა კვინიკაძე, ციციჩო თურქაძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტთა მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხნა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, ცენტრის დირექტორის 2020 წლის 19 ივნისის N493824 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად.

ექსპერტთა მიერ ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა რეკომენდაციები.

2.2. კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა სტანდარტთან მეტწილი შესაბამისობა, რაც გამოწვეული იყო პროგრამისათვის აუცილებელი აღჭურვილობის ნაკლებობით. კერძოდ, დაწესებულებას შესყიდული არ ჰქონდა აღჭურვილობის ნაწილი, შესყიდვა უნდა განეხორციელებინა გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP), რაც დასტურდება ელექტრონული მიმოწერით. დაწესებულებამ წარმოადგინა რექტორის 2020 წლის 3 ივლისის N01-02/72 ბრძანებით დამტკიცებული მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფის გეგმა. მასში გაწერილია, რომ გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსების ოდენობაა 10325 ლარი და ამ პროცესის დასრულების სავარაუდო თარიღია 2021 წლის 3 იანვარი. გეგმაში ასევე გაწერილია, რომ ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით (COVID-19) რთულია UNDP-ის მიერ შესყიდვების პროცესის პროგნოზირება. შესაბამისად, არსებობს გარკვეული რისკი. თუმცა დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან, და რომც ვერ მოხერხდეს აღჭურვილობის შეძენა დროულად, მემორანდუმის ფარგლებში ყველა სწავლის შედეგის მიღწევა შესაძლებელია ბოტანიკურ ბაღში, რაც დადასტურდა ბოტანიკური ბაღის წარმომადგენლებთან გასაუბრებითაც.

ექსპერტთა დასკვნით, პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ექსპერტის შეფასებით, დისტანციურად უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების

შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები.

ექსპერტთა მიერ განვითარების მიზნით გაცემულია რეკომენდაციები:

სასურველია, მოდულებში „ინფორმაციული წიგნიერება 1“, „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“ და „უცხოური ენა“ ზოგადი ინფორმაციის ნაწილში არ მოიცავდეს მოდულის დაშვების წინაპირობებზე ჩანაწერს, მაშინ როდესაც ჩარჩო დოკუმენტით დამტკიცებული მოდულები მსგავს ჩანაწერს არ ითვალისწინებს.

მოდულში „ქართული ენა B1“ არის ტექნიკური ხარვეზები. მაგალითად, სასწავლო რესურსს სათაური არ აქვს, ნუმერაცია არეულია.

შესაბამისად, სასურველია მოდულებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები.

2.3. კომპონენტის ფარგლებში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, თავისივე რეგულაციაში იკვეთებოდეს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევისას, რის საფუძველზე ახდენს მათთვის პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციის დადასტურებას.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ „პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით“. ხარისხის მართვის მენეჯერის თქმით, ზემოაღნიშნულ ჩანაწერში იგულისხმება, რომ პროგრამაში ცვლილება ხორციელდება პროგრამის შემუშავების პროცედურის შესაბამისად, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ შემუშავების პროცედურა მოიცავს დაგეგმვის ეტაპსაც, სასურველია, ზუსტად იკვეთებოდეს, პროგრამაში ცვლილება რომელი პროცედურით ხორციელდება.

დაწესებულებს წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ უნივერსიტეტის დიდ ყურადღებას აქცევს პროფესიული პროგრამების განხორციელების რეგულაციების განახლებას, მათთვის ექსპერტების რეკომენდაციები მისაღებად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, საბჭოს ემსჯელა 2.2. კომპონენტის შეფასების, მეტწილიდან სრულ შესაბამისობაში გადაკვალიფიცირების თაობაზე, რადგან, როგორც გამოიკვეთა ბოტანიკურ ბაღთან მემორანდუმით აღჭურვილობის ნაკლებობა სრულად გამოსწორდებოდა, მით უმეტეს, რომ ექსპერტებმაც და დაწესებულების წარმომადგენლებმაც აღნიშნეს, რომ ბოტანიკური ბაღი კადრების მომზადებას დიდ ყურადღებას აქცევს და მთლიანად რეგიონს კვალიფიციური მეზაღვების დეფიციტი აქვს. რაც შეეხება 2.3. კომპონენტის ნაწილში რეკომენდაციებს, საბჭოს წევრებს მიაჩნიათ, რომ ეს საკითხი ცენტრის განსაკუთრებული ღონისძიებების საფუძველი უნდა გახდეს, ცენტრმა უნდა დაგეგმოს დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დასახვეწად რიგი ღონისძიებები, ასევე, სასურველია საკითხი შესწავლილ იქნას გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ თავმჯდომარეს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „მეზაღვების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 245428158) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მებაღეობის“ საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 14).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 27 ივლისი.

15. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სატყეო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: ნინო ხაჩიძე, თამთა კვინიკაძე, ციციწო თურქაძე.

ექსპერტთა ინფორმაციით, ცენტრის დირექტორის 2020 წლის 19 ივნისის N493825 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სატყეო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად.

ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა როგორც სტანდარტთან შესაბამისობის, ასევე განვითარების რეკომენდაციები. კერძოდ,

2.2. კომპონენტის ფარგლებში შეფასება არის მეტწილი, რაც გამოწვეულია იმით, რომ დაწესებულებას შესყიდული არ აქვს აღჭურვილობის ნაწილი. აღჭურვილობის შესყიდვას ახდენს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), რაც დასტურდება ელექტრონული მიმოწერით. დაწესებულებამ წარმოადგინა რექტორის 2020 წლის 3 ივლისის N01-02/72 ბრძანებით დამტკიცებული სატყეო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფის გეგმა. მასში გაწერილია, რომ გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსების ოდენობაა 85485 ლარი და ამ პროცესის დასრულების სავარაუდო თარიღია 2021 წლის 3 იანვარი. გეგმაში გაწერილია, რომ ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით (COVID-19) რთულია UNDP-ის მიერ შესყიდვების პროცესის პროგნოზირება. შესაბამისად, არსებობს გარკვეული რისკი. ამ აღჭურვილობაში შედის როგორც კომპიუტერები, ასევე პროგრამისთვის აუცილებელი სპეციფიური აღჭურვილობა, ამდენად,

2.4. კომპონენტის ფარგლებში გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები:

დაწესებულების მიერ შემუშავებულ ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი შესაბამისი უწყების ინფორმირებას განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში.

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესში საუბარია, რომ „მოდული, თუკი არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება უნდა განხორციელდეს მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა“.

სასწავლო გეგმით სატყეო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობიან მოდულებში დაცულია ინტერვალი, თუმცა, სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში იკვეთებოდეს, თუ როდის, რა ვადაში ინიშნება განმეორებითი შეფასება და გათვალისწინებულ იქნას აპელაციის შემდგომ ის შემთხვევები, როდესაც სააპელაციო კომისიის მიერ დაინიშნება განმეორებითი შეფასებები. ზემოაღნიშნულის დროს, რეგულაციით ერთკვირიან ინტერვალში შეუძლებელია განმეორებითი შეფასების განხორციელება.

დისტანციურად უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, მიუხედავად დაწესებულების ოპტიმისტური პროგნოზებისა, მაინც იკვეთება რისკები და ხანგრძლივი პერიოდი აღჭურვილობის შეძენის დასრულებამდე. ასევე, საკითხი ეხება სპეციფიურ აღჭურვილობას, როცა მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსი შემოწმდეს ადგილზე, თუნდაც მისი გამართულობის კუთხით, მისი აზრით იკვეთება 2.2 კომპონენტის მონიტორინგის გზით გადამოწმების საჭიროება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ 2.2 კომპონენტის ნაწილში საკითხი განიხილება მონიტორინგის დანიშვნით. ვინაიდან დაწესებულებას აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, აინტერესებს, დაწესებულება რა ვადაში ფიქრობს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შესაბამისობის გეგმაში მითითებული აქვთ თარიღი 2021 წლის იანვარი, ალბათ მონიტორინგის ჩაინიშნა შესაძლებელი იქნება 2021 წლის 27 იანვრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სატყეო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 245428158) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სატყეო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 15**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 27 ივლისი. ხოლო 2.2. კომპონენტის ფარგლებში მონიტორინგი განხორციელდეს 2021 წლის 27 იანვრის შემდეგ ვიზიტით.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა, ერთ პრეზენტაციით წარმოედგინათ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ქალაქ თბილისსა და ქუთაისში „ღონისძიების ორგანიზების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხები

წარმდგენი: ირინე ფხაკაძე, თამთა კვინიკაძე, ინგა ბოჭოიძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტთა მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებების შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ქალაქ თბილისსა და ქალაქ ქუთაისში განხორციელების უფლების მინიჭების შესაძლებლობის შეფასების მიზნით, ექსპერტებმა ვიზიტი განახორციელეს ორივე ლოკაციაზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება. პროფესიული პროგრამების განვითარების და ახალი პროგრამების დანერგვის პოლიტიკა თსუ-ში ასახულია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში. ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა დაწესებულების ადმინისტრაციის ხედვა დასამატებლად წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებაში.. გამოიკვეთა საუკეთესო გამოცდილება, კერძოდ.

თსუ-ს საქართველოში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის კარგი გამოცდილება აქვს, რაც გამოიხატება ერთობლივი სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარებით.

თსუ აქტიურად თანამშრომლობს ესტონეთის პროფესიული განათლების ცენტრებთან მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამები - „ღონისძიების ორგანიზება“ შემუშავებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება“ (სარეგისტრაციო ნომერი - 04119-პ) საფუძველზე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში.ამასთან, ის შესაბამისობაშია თსუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესთან და კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებთან. პროგრამა ორივე ლოკაციაზე უზრუნველყოფილიაშესაბამისი კვალიფიკაციისა

და სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებლებით, რომელთა კომპეტენცია დასტურდება კვალიფიკაციით და/ან პრაქტიკული სამუშაო გამოცდილებით, პროფესიულ პროგრამებს ორივე ლოკაციაზე ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, გასაუბრებით დადასტურდა როგორც დარგის სპეციალისტის კვალიფიკაცია, ასევე მისი როლი და ჩართულობა პროფესიული პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში; პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია თსუ-ს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, (როგორც A, ისე B გარემოს ინფრასტრუქტურა) მისამართი - ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი N8, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 20 პროფესიული სტუდენტი, ორი ცვლის შემთხვევაში - 40 პროფესიული სტუდენტი).

C გარემო მოდულისათვის „ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება“ უზრუნველყოფილია ქ. ქუთაისში, წმ. ნინოს ქ. №9, ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრში, რომელთანაც 2020 წლის 10 თებერვლიდან დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის უვადო მემორანდუმი და ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ობიექტს შეუძლია მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი და უზრუნველყოს მოდულის შესაბამისი მატერიალური რესურსით (მატერიალური რესურსის ჩამონათვალი მითითებულია ხელშეკრულებაში) ურთიერთვალდებულებებში ასევე გაწერილია პროფესიული სტუდენტებისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. ამავე მოდულის პრაქტიკული ნაწილის განმახორციელებელი პირი/პროფესიული მასწავლებელი პრაქტიკის ობიექტის თანამშრომელია. C გარემო მოდულისათვის „ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება“ თბილისის ლოკაციაზე უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში (ქ. თბილისი), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა., საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტისათვის.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, ორივე ვიზიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაციები, რეკომენდაციები ეხებოდა 2.3. და 2.4. კომპონენტებს და ჰქონდა ანალოგიური ხასიათი. კერძოდ,

2.4.1.1 რეკომენდირებულია პროგრამის შეფასების მექანიზმის გაწერა პროცედურის სახით;

2.4.1.1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დადგენილება (დადგენილება 94, 22.07. 2019, მუხლი 15, პუნქტი 5) საჭიროებს კორექტირებას.

2.4.2.2. უნდა გაიწეროს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის პროცედურა

2.4.2.3. რეკომენდირებულია შეფასების უწყისის წარმოების, შენახვის განსაზღვრული პროცედურის შემუშავება მოკლე ვადაში.

შესაბამისად, 2.3. და 2.4. კომპონენტებში ექსპერტთა შეფასებაა „მეტწილად შეესაბამება“. თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით, დაწესებულება აღნიშნული რეგულაციების გაწერას სრულყოფილად შეძლებს უახლოეს პერიოდში, უკვე მომზადებული აქვთ აკადემიური საბჭოს დადგენილების პროექტი შესაბამის დოკუმენტით.

ექსპერტთა ჯგუფის მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ექსპერტის განმარტებით, განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი;- უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროფესიული სწავლების მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც ცალსახად დამოუკიდებელი დოკუმენტებია და არ იკვეთება განათლების უმაღლესი საფეხურის პროგრამების არსებულ რეგულაციებთან, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა;

